საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფაქვაა, ტყეულებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 1 დეკემბერი, 2015 წელი.

№225 (7870)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ირაკლი მენაღარიშვილი:

რუსეთი ნატოს წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო აქციას ვერ გაბედავს

4

გია მაისაშვილი:

რუსეთმა კარგად იცის, რომ თურქეთთან აგრესიული თამაში არ გამოუვა!

3

ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ „გასაიდუმლოებულ“ საარჩევნო სიაზე მუშაობას დეკემბრის ბოლომდე დაასრულებს

პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ 2016 წლის საარჩევნო სია მზად, სავარაუდოდ, დეკემბრის ბოლომდე იქნება.

როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ პოლიტიკურ კულუარებში განუცხადეს, საპარლამენტო არჩევნების სიისთვის მუშაობა დასკვნით ეტაპზეა და მას ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პირადად კურირებს.

წყაროს ცნობით, აღნიშნული სიის შემადგენლობა მმართველი გუნდისთვისაც გასაიდუმლოებულია. თუმცა, მისივე ინფორმაციით, უმრავლესობის არსებული შემადგენლობის ნახევარზე მეტი სიაში ველარ მოხვდება და ისინი სხვადასხვა უწყებებში დასაქმდებიან.

რაც შეეხება კოალიციაში შემავალი სხვა პარტიების საარჩევნო სიას, ამ საკითხზე მუშაობა მათაც დაწყებული აქვთ. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ კოალიციაში შემავალ პარტიებზე მანდატები ჯერ კიდევ გადასანაწილებელია, „რესპუბლიკელები“, „მრეწველები“, „ეროვნული ფორუმი“ და „კონსერვატორები“ პარტია „ქართულ ოცნებასთან“ კონსულტაციების გამართვას ელოდებიან.

„სამშობლოს ღალატისთვის პასუხისგებაში უნდა მიეცეს ყველა, ვინც მარუხი დათმო“

5

როდის განახლდება შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა?

6

რისთვის სცემეს დავით ოქიტაშვილი საკუთარ ავტოფარეხში?

3

საკადრო ცვლილებები პროკურატურაში

საქართველოს მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე მუშაობას უკვე შეუდგა. მან პროკურატურაში პირველი საკადრო ცვლილებები განახორციელა. საქართველოს მთავარი პროკურორის პირველ მოადგილედ მამუკა ვასაძე დაინიშნა, რომელიც მანამდე მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის თანამდებობას იკავებდა. მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს კი დღეიდან თეიმურაზ ნაჭყებია უხელმძღვანელებს.

ცვლილება განხორციელდა მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის დეპარტამენტშიც, დეპარტამენტის უფროსის პოსტზე ბაკურ აბულაძე დაინიშნა. რაც შეეხება პროკურატურის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას, ამ პოსტს ნათია სუხიაშვილი დაიკავებს. ცვლილებები შეეხო ასევე საოლქო პროკურატურის ოფისებს, კერძოდ: შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურორის თანამდებობაზე ლევან პაქსაშვილი დაინიშნა, სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურორად კი – მალხაზ კაპანაძე.

გუშინვე, განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, საქართველოს მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე საოლქო პროკურორებს შეხვდა და სამომავლო გეგმები გააცნო.

როცა მეცნიერი უწინარესად ჭეშმარიტი ადამიანია...

5

რაფიელ ჩიქოვანი – 85

თეა წულუკიანი:

ირაკლი ალასანიას სისულელეში გვერდით არ დავუდექი

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის ირაკლი ალასანიას მიერ მასზე გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა. ლაპარაკია გაზეთ „კვირის პალიტრისათვის“ მიცემულ ინტერვიუზე, სადაც ალასანია წულუკიანზე ამბობს, რომ ის „სიყალბისა და ფარსის ნაწილი გახდა“.

„ძალიან ვწუხვარ, რომ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, ალასანიას, როგორც პარტიის წევრი, სისულელეში გვერდში არ დავუდექი, მან ქართველების იმ ჯგუფს მომაკუთვნა, რომლებსაც ის უხარისხო ქართველებს უწოდებს. ვისურვებდი, ირაკლი ალასანიამ თავისი პარტია რეალ-ტვ-ს არ დაამსგავსოს, გააძლიეროს ის და საზოგადოებას, ამომრჩეველს ღირებულებებზე ესაუბროს და არა რომელიმე ერთ მინისტრს, რადგან პარტიის რეიტინგი არჩევნების დღეს დამტკიცდება“, – თქვა ირაკლი ალასანიას პასუხად თეა წულუკიანმა.

ჩვენ საზოგადოებას დანაშაულისგან ველარ დავიცავთ

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანი მოწმეთა დაკითხვის შესახებ არსებულ წესში ცვლილებას ეხმიანება, რომელიც ძალაში უნდა შევიდეს 2016 წლის 1 იანვრიდან და რომლის თანახმადაც, მოწმეების დაკითხვა უნდა მოხდეს პირდაპირ სასამართლოს მიერ. როგორც თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნული ცვლილება გაუაზრებელია და ის კრიმინალისგან ვერ დაიცავს საზოგადოებას.

იუსტიციის მინისტრის მტკიცებით, ახალი წესის დასამკვიდრებლად არ არის მზად არც სასამართლო და არც სამართალდამცავი ორგანოები.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ირაკლი ღარიბაშვილი პარიზში კონფერენციას ესწრება

პარიზი 150-მდე ქვეყნის ლიდერებს მასპინძლობს. საფრანგეთის დედაქალაქში გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენცია (COP21) გაიხსნა.

კონფერენციის მონაწილე ქვეყნების ლიდერები ლე ბურჟეს საგამოფენო ცენტრში შეიკრიბნენ.

ირაკლი ღარიბაშვილს საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი, გაეროს გენერალური მდივანი ბან კი მუნი და საფრანგეთის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო განვითარების მინისტრი, COP21-ის თავმჯდომარე ლორან ფაბიუსი მიესალმნენ.

წულუკიანმა იუსტიციის სახლში სოციალური საწარმო გახსნა

ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა თბილისის იუსტიციის სახლში სოციალური საწარმო — კაფეტერია — გახსნა. გახსნის ცერემონიას შვეიცარიის ელჩი საქართველოში ლუკას ბეგლინგერი და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიის ხელმძღვანელი ილიანა დერილოვა დაესწრნენ.

საწარმო მიზნად ისახავს ყოფილი და რისკის ქვეშ მყოფი ნარკომომხმარებლების, მათ შორის, პოტენციური მიგრანტებისა და ყოფილი პატიმრების დასაქმებას, რაც მათ საზოგადოებაში რესოციალიზაციას შეუწყობს ხელს.

სოციალურ საწარმოში 13 პირი დასაქმდა.

სააპელაციო სასამართლომ „რუსთავი-2“-ის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა

სააპელაციო სასამართლომ მოსამართლე თამაზ ურთმელიძის 5 ნოემბრის განჩინება, რომელიც „რუსთავი-2“-ში დროებითი მმართველების დანიშვნას ეხებოდა, სრულიად გააუქმა, — განუცხადა მედიანიუსს ტელეკომპანიის ადვოკატმა თამთა მურადაშვილმა.

ადვოკატის ინფორმაციითვე, არ დაკმაყოფილდა დავით დვალის მოთხოვნა დროებითი მმართველების სიიდან ამორიცხვის შესახებ.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს კოლეგიამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა „რუსთავი-2“-ის მოთხოვნა ყადაღის გაუქმებასთან დაკავშირებით.

,,სასამართლომ იმსჯელა ყადაღაზეც და ზოგიერთი შეზღუდვა მოხსნა და ზოგიერთი დატოვა. მოხსნილია ქირავნობასთან დაკავშირებული შეზღუდვა. კერძოდ, ტელეკომპანიას შეეძლება სტუდიების, ტექნიკური ფუნქციონირებისთვის საჭირო ინვენტარის, ავტომობილების ქირავნობა, მაგრამ არა უმეტეს 3 თვით. თუმცა, ძალაში რჩება „რუსთავი-2“-ის დამფუძნებლების წილების დაყადაღების გადაწყვეტილება და ის, რომ ქონება ქიბარ ხალვაშს გადაეცა. ასევე კვლავაც არა აქვს ტელეკომპანიას უფლება, რომ ქონება იპოთეკით დატვირთოს“, — განაცხადა მურადაშვილმა.

მისივე თქმით, „რუსთავი-2“-ის იურისტები სააპელაციოს გადაწყვეტილებით საჯარო რეესტრში მივლენ, სადაც სამეწარმეო რეესტრში ახალი განჩინების შესაბამისად მონაცემების შეცვლა მოხდება.

რაც შეეხება მომდევნო პროცედურებს, როგორც მურადაშვილი ამბობს, ორი კვირის ვადაში „რუსთავი-2“ კვლავ გაასაჩივრებს მოსამართლე ურთმელიძის ძირითად გადაწყვეტილებას, რომელიც ტელეკომპანიის წილების ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშისთვის გადაცემას ეხება.

14 ქვეყნის პოლიციისა და უსაფრთხოების ატაშეთა კონფერენცია თბილისში

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“, საქართველოში აკრედიტებული, პოლიციისა და უსაფრთხოების ატაშეთა ყოველწლიური კონფერენცია გაიმართა. ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა გახსნა. შს მინისტრმა ატაშეებს ეფექტური და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

გიორგი მღებრიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების 60%-ზე მეტი შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაში შედიოდა, რასაც სამინისტრომ წარმატებით გაართვა თავი და ექსპერტებისგან პოზიტიური შეფასებაც მიიღო. მინისტრის თქმით, დღევანდელი კონფერენციაც ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი წარმატებით განხორციელებული ვალდებულებაა, რომელიც სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას და გაღრმავებას ითვალისწინებს.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს პარტნიორი ქვეყნების: აშშ-ს (გამოძიების ფედერალური ბიუროსა და სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს, რეგიონალური უსაფრთხოების ოფიცერი), ავსტრიის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, ბელგიის, თურქეთის, ისრაელის, იტალიის, ლატვიის, საბერძნეთის, საფრანგეთის, სომხეთისა და უკრაინის პოლიციისა და უსაფრთხოების ატაშეებმა. ღონისძიებაში აგრეთვე მონაწილეობდა ევროპის პოლიციის ოფისის (ევროპოლი) წარმომადგენელი.

კონფერენციის ფარგლებში პირველად გაიმართა ორმხრივი შეხვედრები საქართველოში აკრედიტებულ, პოლიციისა და უსაფრთხოების ატაშეებსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფების წარმომადგენლებს შორის.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ქაღალდის არქივის ცენტრალიზება დაასრულა

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ქაღალდის არქივის ცენტრალიზების პროექტი დაასრულა. ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურებში არსებული ქაღალდის დოკუმენტაცია მთლიანად ლილოში არსებულ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის შენობაში განთავსდა, სადაც ძველმა არქივმა ფართის 70% დაიკავა, ხოლო დარჩენილი 30% დროთა განმავლობაში მიმდინარე სარეგისტრაციო დოკუმენტაციით შეივსება.

პროექტის შედეგად დასრულებულია ტექბიუროს, სამეწარმეო რეესტრის, უძრავ ქონებაზე უფლებათა რეესტრის, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკისა და კანცელარიის დოკუმენტაციის ცენტრალიზება.

საჯარო რეესტრში მნიშვნელოვანი დოკუმენტები იყრის თავს, რომელთა უსაფრთხოება და დაცულობა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. არქივების ცენტრალიზებამდე ძველი დოკუმენტაცია არასტანდარტულად აღწერილი, სხვადასხვა ადგილას გაფანტული და ნაკლებად დაცული იყო, რაც მათი გაყალბების ან დაკარგვის შესაძლებლობას ქმნიდა. პროექტის განხორციელების შედეგად, მთლიანმა საარქივო მასალამ ერთ წერტილში, უსაფრთხოდ მოიყარა თავი, რაც დოკუმენტებსა და მონაცემებზე ხელმისაწვდომობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. ამას გარდა, შექმნილი სრული და უტყუარი მონაცემთა ბაზა უზრუნველყოფს ნაკლებ ხარვეზებს სარეგისტრაციო და საინფორმაციო მომსახურებაში, ქვეყანაში საკუთრების უფლების დაცვას კი კიდევ უფრო მაღალ სტანდარტზე აიყვანს.

შეხვედრა მაზნიაშვილის სახელობის ახალგაზრდულ ლეგიონთან

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე და თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების ბიუროს ხელმძღვანელი ანდრია გოცირიძე ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „გენერალ მაზნიაშვილის სახელობის ახალგაზრდული ლეგიონის“ საველე სწავლებას დაესწრნენ.

ახალგაზრდული ლეგიონის წარმომადგენლებს გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ სპეციალური ლექცია ჩაუტარა და სამხედრო დაზვერვის შესახებ ესაუბრა, გააცნო სამხედრო დაზვერვის სხვადასხვა ტექნიკური დეტალებიც. მოგვიანებით ახალგაზრდებმა სპორტულ და სამხედრო ვარჯიშებშიც მიიღეს მონაწილეობა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი არასამთავრობო ორგანიზაცია „გენერალ მაზნიაშვილის სახელობის ახალგაზრდული ლეგიონის“ საველე სწავლებას უკვე მეორედ დაესწრო. ახალგაზრდები ცოტა ხნის წინ კიბერუსაფრთხოების ბიუროშიც იმყოფებოდნენ, სადაც ბიუროს ხელმძღვანელმა ანდრია გოცირიძემ საქართველოს კიბერსაფრთხეების, კიბერუსაფრთხოების ბიუროს ფუნქციების, სამომავლო გეგმებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

„გენერალ მაზნიაშვილის სახელობის ახალგაზრდული ლეგიონის“ მთავარი მიზანი ახალგაზრდებისთვის ექსტრემალურ ბუნებრივ პირობებთან გამკლავება, სალაშქრო საქმე, ტოპოგრაფია, ისტორია, გეოგრაფია და სამხედრო საქმის საბაზისო კომპონენტების შესწავლაა.

ეროვნული თავდაცვის უმაღლესი კურსი იწყება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ეროვნული თავდაცვის უმაღლესი კურსი იწყება. სემინარი დღეს კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში“ ოფიციალურად გაიხსნება. კურსის მონაწილეებს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბესიკ ლოლაძე თავდაცვის უწყებაში შეხვდა და წარმატებები უსურვა.

მონაწილეებს ასევე სიტყვით მიმართეს ესტონეთის ელჩმა საქართველოში პრიტ ტურკმა და ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა უილიამ ლაჰიუმ. მათ კურსის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება.

ეროვნული თავდაცვის უმაღლესი კურსის მიზანია საქართველოს უსაფრთხოების სისტემის მიმოხილვა რეგიონულ და საერთაშორისო კონტექტსში, ასევე, ქვეყნის თითოეული მოქალაქის როლისა და პასუხისმგებლობის ანალიზი ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის ფორმირების პროცესში.

სემინარი დღის განმავლობაში გაგრძელდება. საქართველოს

თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების თანამშრომლებთან ერთად სემინარის მონაწილეები სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე პირები, სასამართლო ხელისუფლების, არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლები არიან.

კურსის განმავლობაში მონაწილეები თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემასა და გამოწვევებს, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის პროცესსა და თავდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტებს გაეცნობიან, ასევე მიიღებენ პასუხებს მნიშვნელოვან და აქტუალურ თემებზე. სემინარზე თემატურად განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ტერორიზმის ახალი ტალღა და შესაძლო გავლენა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესზე, ხედვები ვარშავის სამიტის წინ, სამოქალაქო კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე, კანონის უზენაესობა და საზოგადოებრივი უსაფრთხოება. კონფერენციის პარალელურად მონაწილეებს სიმულაციურ კრიზისის სცენარზეც მოუწევთ მუშაობა.

ეროვნული თავდაცვის უმაღლესი კურსი სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ადაპტირებული კურსების მსგავსად ჩამოყალიბდა და დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესიული განვითარების ცენტრისა და ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) ორგანიზებით მეოთხედ ტარდება. სემინარის მხარდამჭერები არიან საქართველოსა და ესტონეთის თავდაცვის სამინისტროები.

◎ ექსკლუზივი

რისთვის სცემეს დავით ოქიტაშვილს საკუთარ ავტოფარეხში?

თავდაპირველად დავით ოქიტაშვილს ინტერვიუს ჩასაწერად სულ სხვა თემაზე დავუკავშირდით, თუმცა პირველივე კითხვის დასმის შემდეგ თემა შეიცვალა და ჩვენი საუბარიც სხვა მიმართულებით წავიდა. როგორც მან გვითხრა, უნდა დაარღვიოს დუმილი და პირველად, „მეტრონომთან“ ისაუბროს თემაზე, რომელიც მას დიდი ხანია აწუხებს.

— ადამიანებს, ეტყობა უკვირთ, — ამბობს დათო ოქიტაშვილი, **— რატომ გადავეკიდე ამ ნაციონალურ მოძრაობას?**

პირველად, ექსკლუზიურად გეუბნებით თქვენ იმას, რაც არც ერთი ჟურნალისტისთვის არ მითქვამს ჯერ. რატომ ვარ მათზე ასეთი გამწარებული? როდესაც ზურაბ ჟვანია გარდაიცვალა, უფრო სწორად, მოკლეს, ხმამაღლა ვთქვი, რომ იმ სიბინძურის, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ ზურას გარშემო ატეხა, არ მჯეროდა. იცით, ამის მერე რა მოხდა? ჩემს ოჯახზე ხორციელდებოდა ზეწოლა. როდესაც გირეკავენ და გემუქრებიან 14 წლის ქალიშვილის გაუპატიურებით

და ტყეში დაგდებით, წარმოიდგინეთ, რაც გადავიტანე. ბავშვს სკოლაში არ ვუშვებდი. ეს აქამდე არსად არ მითქვამს იმიტომ, რომ ახლა, უკვე გათხოვილია და ბევრი რაღაცები არ იცოდა მაშინ, მეკითხებოდა, მამა რატომ არ უნდა წავიდე სკოლაში? იცით, მე საკუთარ ავტოფარეხში ჩამკეტეს.

— ვინ ჩაგკეტათ?

— სამნი იყვნენ, მცემეს, თავში მირტყეს მაკაროვის იარაღი, გაჩუმდი, ხმა არ ამოიღოო. თუ ისინი მართლები იყვნენ და ზურაბ ჟვანიას იმას აბრალებდნენ რის გამოც მოკლეს, რატომ მცემეს, რატომ მიაყენეს შეურაცხყოფა ზურაბ ჟვანიას ბევრ მეგობარს. რა დაუშავათ ჩემმა 14 წლის ქალიშვილმა, გაუპატიურებით რომ ემუქრებოდნენ და ტყეში დაგდებით? მას მერე დამემართა დიაბეტი. ახლა, ინსულინზე ვარ დამოკიდებული. ცემის მიზეზი იყო ის, რომ არ მჯეროდა ზურაბ ჟვანიას სიკვდილის ოფიციალური ვერსიის.

ყველას უკვირს, რატომ ხარ ასე, შენც ხომ ერთი პერიოდი მაგათთან მუშაობდიო. დიახ, თავდაპირველად მეც მჯეროდა ნაციონალური მოძრაობის, მაგრამ მოვიდნენ თუ არა ხელისუფლებაში, დავინახე რომ ეს არის სექტა, მკვლელების ორგანიზაცია, რომლებმაც მომიკლეს უახლოესი მეგობარი ზურაბ ჟვანიას სახით.

— ანუ, თქვენ გცემეს და მოხვდით რესპუბლიკურ საავადმყოფოში?

— სუსი რესპუბლიკურ საავადმყოფოში იყო მისული, სანამ მე მიმიყვანდნენ და ექიმებს ეკითხებოდა, დათო ოქიტაშვილი არ მოუყვანიათო? „რუსთავი-2“-მა ახლა დემოკრატიაზე რომ ლაპარაკობს, დადგა ეს სპექტაკლი. როდესაც საავადმყოფოში მიმიყვანეს, ამ ტელევიზიის ჟურნალისტები უკვე იქ დამხვდნენ. მე ნიკა რურუას მინისტრობის უბედურ პერიოდში ვმუშაობდი და წამოვედი სამინისტროდან.

— თქვენი ნებით წამოხვედით სამსახურიდან?

— არა. მაიძულებდნენ, რომ წამოვსულიყავი, მაგრამ მათთვის ჩემი ასეთი ფორმით გაშვება ცოტა რთული იყო. მივხვდი,რომ განცხადება უნდა დამეწერა და წამოვსულიყავი. „რუსთავი-2“-მა, როგორც ყოველთვის, შეკვეთილი სიუჟეტი გააკეთა. რომ თითქოს მე ვარ აფერისტი და საქართველოს მოსახლეობა მოვატყუე, „რივერდანსი“ არ ჩამოვიყვანე. უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ მაგ სისტემას ბოლომდე არ ჩავყევი.

— ახლა ხელისუფლება ხომ შეცვლილია, სასამართლოში შეიტანეთ თქვენი ცემის ფაქტზე საჩივარი?

— ამ თემას იმიტომ შევეშვი, რომ ამ ქვეყანაში ჩემზე მეტად იმდენი ადამიანი გააუბედურეს, იმდენი მოკლეს, რომ დათო ოქიტაშვილის ცემის საკითხი სასამართლოში საჩივლელად არ ღირს, ხოლო 2007 წლის სასამართლოში ჩემ სიმართლეს ვერ დავამტკიცებდი. ახალი პროკურორის იმედი მაქვს, რომელიც ბევრ ასეთ საქმეებს გამოიძიებს და ძალიან მალე საქართველოში გაიგებენ, ვინ მოკლა ზურაბ ჟვანია.

ჩემს შვილს ბოდიშს ვუხდი, რადგან არ ვეუბნებოდი რატომ არ დადიოდა სკოლაში. ჩემი მეუღლე სახლიდან რომ გამოდიოდა, უკან მანქანა დაჰყვებოდა.

— თქვენსავე ავტოფარეხში გცემეს?

— კი, ჩემსავე ავტოფარეხში მცემეს ღამის 11 საათზე. ამ ყველაფერს პირველად თქვენ გიყვებით, სხვა ტელევიზიებისთვის არ მითქვამს. მაგათ მარტო ჟვანიას შვილების ცოდვა ეყოფათ.

როდესაც რაღაცა სტატუსს ვდებ, მწერენ, მედროვე ხარო. მე არც ოცნებისტი ვარ, არც ლეიბორისტი და არც ნაცხროვა. ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა, რომ ნაციონალური მოძრაობისგან განსხვავებით სახეში არ მაფურთხებენ. ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო არის ხალხის სიყვარული.

ვარსკვლავების პროექტი ჩამომართვეს. ეს ჩემთვის იცით რას ნიშნავს? შვილის მკვლელობის ტოლფასია. თუმცა, ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, დამიბრუნეს.

მთელმა საქართველომ უნდა იცოდეს, ესენი რა ჯალათები არიან და ჟვანიას ოჯახმა რა ტრაგედია გადაიტანა. მე ოცნების წევრი არ ვარ მაგრამ ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ბიძინა ივანიშვილს, იცით რატომ? ძალიან ბევრი პრობლემის მიუხედავად, ბიძინა ივანიშვილმა საქართველოში ყველა ოჯახი გადაარჩინა.

კიდევ ერთხელ ვამბობ, მედროვე არ ვყოფილვარ. ეს ნაბიჯი ჩემი მეგობრის სიკვდილის გამო გადავდგი, ზურაბ ჟვანია დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო საქართველოში სულ სხვანაირად ვიცხოვრებდით.ზურამ შეცდომა დაუშვა. ის ზედმეტად ენდობოდა თავის გუნდს და სააკაშვილს. ვიბრძოლებ სიცოცხლის ბოლო წუთამდე, რომ ეს სექტა საქართველოში აიკრძალოს. მე მაქვს ზურას ოჯახთან ახლო ურთიერთობა. ნინო, ზურას ცოლი ჩემი უმცროსი შვილის ნათლიაა. მე რომ მივდივარ ამ ოჯახში და ბავშვებს ვუყურებ, მეტირება, რომ გენიოსი მამა ამ გარეწრებმა მოუკლეს. ყველაფერ ამის ხელის შემწყობი იყო „რუსთავი-2“. მასმედიის წინააღმდეგი არ ვარ, თუმცა, მათ ტელევიზიას რომ ვუყურებ, მგონია, რომ ისევ იმ დროში ვცხოვრობ, სადაც ეს სატანა იყო პრეზიდენტი. უკრაინიდანაც გამოაგდებენ მაგ ჯალათს და მკვლელს.

ნუკი მჟედლიშვილი,
metronome.ge

◎ ვითარება

მტაცებელი ჯანსაღ ხარს თავს არ ესხმის!

რუსეთმა კარგად იცის, რომ თურქეთთან აგრესიული თამაში არ გამოუვა!

რუსეთ-თურქეთს შორის დღევანდელ დაძაბულ ურთიერთობებსა და მათ შესაძლო განვითარებაზე „ივერიონს“ ესაუბრა ექსპერტი გია მაისაშვილი.

— ბატონო გია, როგორ შეაფასებთ მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებს? ფაქტია, რომ უახლოეს სამეზობლოში დენთის სუნი ტრიალებს. თქვენი აზრით, გადაიზრდება თუ არა რუსეთ-თურქეთის კონფლიქტი საომარ მოქმედებებში და რა უნდა გააკეთოს საქართველომ, რათა ამ დაპირისპირების პოლიგონად არ იქცეს?

— რთული, წინასწარ გაუჭვრეტელი და ფეთქებადსაშიში სიტუაციაა. ასე, შემთხვევით, იწყება ხოლმე დიდი ომები და საბრძოლო მოქმედებები, მაგრამ ამ შემთხვევაში მეეჭვება, რომ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება შეტაკებაში გადაიზარდოს. რადგან, რუსეთის მოწინააღმდეგე იქნება არა მხოლოდ თურქეთი, რომელიც ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სამხედრო ქვეყანაა, არამედ ყველაზე ძლიერი სამხედრო ბლოკი „ნატო“. ეს მათ შორის ახალ დაპირისპირებას გამორიცხავს. მაგრამ, მათ შორის ურთიერთობის უკუკრიზისი გაგრძელდება.

საქართველოს როლი თურქეთისთვის ძალიან გაიზარდა, ამიტომ, ამ სიტუაციაში, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და უსაფრთხოებისთვის, ქვეყნის ჭკვიან ხელისუფლებას ლავირების უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს. არ შეიძლება, რომ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში საქართველო გაცვლის მონეტად იქცეს.

ვინაიდან, რუსეთსა და თურქეთს საერთო საზღვარი არა აქვთ, რუსეთი მას ვერ შეუტევს.საერთაშორისო ნორმებიდან გამომდინარე, თუ საქართველო ნეიტრალურ მოთამაშედ დარჩება, არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ჩვენი საზღვრის დარღვევა. ჩვენ უნდა დავრჩეთ მტკიცე, შეურყეველი ნეიტრალიტეტის პოზიციაზე და საერთაშორისო თანამეგობრობა ვაიძულოთ, რომ არ მოხდეს ქართული როგორც სახმელეთო, ასევე საჰაერო საზღვრების დარღვევა!

— რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება, ბუნებრივია, დიდ ზეგავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზეც, რომლის სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორია ორივე მეზობელი ქვეყანა. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ დაპირისპირებამ საშიშ ნიშნულს რომ მიაღწიოს, რა ალტერნატიული გზები აქვს საქართველოს აღნიშნული სავაჭრო პარტნიორების ჩასანაცვლებლად?

— იმის მიუხედავად, რომ ძალიან პატარა ბაზარი ვართ, ჩვენ არ დაგვჭირდება არავის ჩანაცვლება, რადგან, სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაშიც, ჩვენი მიმზიდველობა უფრო გაიზრდება როგორც ერთი, ასევე მეორე მხარისთვის.

ფინანსურად საქართველო ისედაც ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და რუსული ბაზრის სისუსტე უკვე აისახა ჩვენს ეკონომიკაზე. არა მგონია, რომ ამ ყველაფერმა უფრო მეტი სიღრმისეული გავლენა იქონიოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

— როგორ უყურებთ ევროპა-ამერიკის დამოკიდებულებას რუსეთ-თურქეთის ინციდენტის მიმართ? ამ შემთხვევაში, რა როლის შესრულება შეუძლია დანარჩენ მსოფლიოს სიტუაციის განსამუხტავად?

— რასაკვირველია, ევროკავშირისა და აშშ-ის პოზიცია, რომ ეს სიტუაცია განიმუხტოს არასამხედრო ტერმინის ხმამაღალი ძახილით, ძალიან სწორია. იმით, რომ ისინი ცდილობენ რუსეთს თურქეთთან კონფლიქტის პოლიტიკურ გადაწყვეტაში კონსტრუქციული როლი გამოუძებნონ, ეს შემაჩერებელი უნდა იყოს.

რუსეთს არც ეკონომიკური და არც სამხედრო თვალსაზრისით არა აქვს რესურსი, რომ თურქეთს ეომოს. რუსეთი ეომება საქართველოსთანა პატარა ქვეყანას, რომელიც ადვილად დაამარცხა, ხოლო თურქეთი სამხედრო სიძლიერით ძალიან დიდია. გარდა ამისა, როგორც უკვე გითხარით, თურქეთის უკან სამხედრო ბლოკი დგას, რომელსაც „ნატო“ ჰქვია.

რუსეთი არის მტაცებელი, ხოლო მტაცებელი თავს არ ესხმის მამალ ჯანსაღ ხარს, მტაცებელი თავს ესხმის კოჭლ პატარა ხბოს, ისეთს, როგორიცაა საქართველო, მოლდოვა, ბალტიისპირეთის ქვეყნები, უკრაინა. რუსეთმა კარგად იცის, რომ თურქეთთან ასეთი აგრესიული თამაში არ გამოუვა!

ესაუბრა
მედეა შელია

◎ კაკალ გულში

ნეჩიოლოჯანი თქმაზები

● არც მე არ ვპასუხობ ერდოღაის ზარებს! (სხვათაშორის — არც პუტინისას).

● უკაცრავად, მაგრამ ამ გაუნათლებელ მოქალაქეს, თუ შეიძლება ამიხსენით:

„კალორიულობა“ რას ნიშნავს? როგორ ხდება მისი გამოანგარიშება და რა შეიძლება საქართველოში ღირდეს 1 ლარი და 18 თეთრი? (ეს ბოლო უფრო მაინტერესებს).

გთხოვთ არ მესაუბროთ „რუსთავი-2“-ის პროვოკაციებზე, წინა ხელისუფლების დროინდელ „კალორიულობაზე“ დ.ა.შ.

● გამოცვივდნენ ეს ჩვენი პანთურქისტი რესპუბლიკელები, ეტყობა, თურქული ფული არ ასვენებთ, კიდევ უნდათ თურქული ლირები!!!

აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილაო, თურქეთის იმედი გვაქვსო დ.ა.შ.

ასეთი რა აჭამეს თურქებმა ამ ნაძირლებს?

● ყველა განხილულ საკითხში, იმდენად ჰარმონიული და თანმხვედრი იყო ე.წ. შეურიგებელი ოპოზიციის (გ. ბოკერია), ზომიერი ოპოზიციის (ა. პეტრიაშვილი), უმრავლესობის (ლ. ბერძენიშვილი) და დამოუკიდებელი ექსპერტის (ელ. ხოშტარია) მოსაზრებები (იხ. შაბათის „კურიერი“), რომ ჩრდილოეთ კორეასაც შეშურდებოდა.

მაშ რაღა საჭიროა ორი და მეტი სათაური?

● უმაპო ქვეყანაში თინას აყეფებდნენ!!!

● რუსეთის ფედერაცია თუ დააყენებს ყარსის 1921 წლის ხელშეკრულების დენონსაციის საკითხს,რაც ამ სიტუაციაში სრულიად შესაძლებელია და საქართველოს კუთვნილი ტერიტორიის დაბრუნების საკითხი დადგება, ეჭვი არ მეპარება, რომ ქალბატონი თინა ხიდაშელი და მისი პოლიტიკური გუნდი, მედგრად იბრძოლებენ სტრატეგიულ პარტნიორი თურქეთის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად!!!

● არა რა, გვარამიას ისევ რიმა და გუგული ჯობიან. იმასთან შედარებით, ესენი საყვარლობებს ამბობენ.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძე.

№225. სამშაბათი, 1 დეკემბერი, 2015 წელი.

„რუსეთი ნატოს წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო აქციას ვერ გაბედავს“

სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ რუსეთი თურქეთთან ომის დაწყებას არ აპირებს. თუმცა ორ ქვეყანას შორის ომი დიპლომატიურ ფრონტზე მიმდინარეობს. თურქეთის მიერ რუსული „სუ-24“-ის ჩამოგდება, მოსკოვში თურქეთის საელჩოსთან ქვების, კვერცხებისა და საღებავის ქილების სროლით გამოხატეს საპროტესტო აქციის მონაწილეებმა. ადგილზე იმყოფებოდა პოლიცია, თუმცა აქციის მონაწილეთა ქმედებებში ჩარევისგან თავი შეიკავა. შედეგად კი, დიპლომატიური მისიის რამდენიმე თანამშრომელმა მცირე ტრავმა მიიღო.

გავხდებით თუ არა უახლოეს დროში ახალი სამხედრო ინციდენტების მომსწრენი, რამდენად აქვს რუსეთს სამხედრო დაპირისპირების პოტენციალი და რა გავლენა შეიძლება იქონიოს საქართველოზე ორ ქვეყანას შორის შექმნილმა ვითარებამ? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს ესაუბრა.

რუსული „სუ-24“-ის ჩამოგდების შემდეგად ვითარება იმდენად დაიძაბა რუსეთსა და თურქეთს შორის, რომ რუსეთმა საუბარი დაიწყო ელჩის გამოწვევის აუცილებლობაზე და დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტაზე. ორ ქვეყანას შორის გაუქმდა ოფიციალური ვიზიტები. შესაძლებელია ვითარება ესკალაციამდე მივიდეს? ვლადიმერ პუტინი ღიად აცხადებს, რომ რუსეთი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ყველა საშუალებას გამოიყენებს...

ირაკლი მენაღარიშვილი: — ესკალაცია სახეზე გვაქვს. თქვენს შეკითხვაში ჩამოთვალეთ პოლიტიკური დაპირისპირების მიზეზები და გაუქმებული ვიზიტები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ შექმნილ ვითარებას უკვე მოჰყვა ეკონომიკური ნაბიჯებიც, რუსეთმა აკრძალა თურქეთის მიმართულებით ტურისტული გადაადგილება. ასევე, აიკრძალა თურქეთიდან პროდუქტების იმპორტი.

— შესაძლებელია კიდევ უფრო გაიზარდოს ამ შეზღუდვების ჩამონათვალი?

— ნამდვილად არ გამოვრიცხავ, მაგრამ ყველაზე საშიში არის ის ნაბიჯები, რომელიც შესაძლოა, სამხედრო სფეროში გადაიდგას. ალბათ, ვითარება სამხედრო დაპირისპირებამდე არ მივა. რუსეთს შეუძლია ნაბიჯები გადადგას მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამდე ამის უფლებას მისცემენ. მოგეხსენებათ, რომ თურქეთი ნატოს წევრი სახელმწიფოა და შესაბამისად, რუსეთი ნატოს წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო აქციას ვერ გაბედავს.

თუმცა ის, კონკრეტულად რა ნაბიჯებიც გადაიდგა, უკვე საფრთხის შემცველია. რუსეთმა გამოაცხადა, რომ გააძლიერებს თავისი ბომბდამშენების დაცვას, ეს ნიშნავს, რომ გააგრძელებს სამხედრო ოპერაციებს, მაგრამ ამაში ჩართული იქნება მისი გამანადგურებლები. სირიის ცაზე სამხედრო თვითმფრინავების შეტაკების რისკი იზრდება: სარაკეტო დანადგარი განლაგდება სირიის ტერიტორიულ წყლებში და ასე განახორციელებენ საჰაერო კონტროლს.

— ანუ, შესაძლოა უახლოეს დროში ახალი სამხედრო ინციდენტების მომსწრენი გავხდეთ?

— ამის პოტენციური საფრთხე არსებობს. მიუხედავად იმ განცხადებისა, რომ რუსეთს შურისძიების გეგმები არა აქვს. როგორც გითხარით, ძნელი წარმოსადგენია, ნატოს წინააღმდეგ სამხედრო ნაბიჯის გადადგმა გაბედოს, მაგრამ ის ნაბიჯები, რომელიც უკვე გადადგა და ის გადაწყვეტილებები, რომელიც მიიღო, უკვე რისკის შემცველია. წარმოჩენილია დაძაბულობის ზრდა.

ყველა პოლიტიკური მხარე მოუწოდებს თურქეთს და რუსეთს, რომ ცივი გონებით განსაჯონ შემდეგი ნაბიჯები და მაქსიმალურად თავი აარიდონ დაძაბულობის ესკალაციას. ჯერჯერობით, ამ მოწოდებისგან რაიმე შედეგს ვერ ვხედავ. რუსეთში შიდა პოლიტიკური ეფექტი ჰქონდა და აქვს. დეპუტატების მხრიდან ისმის მოწოდებები დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის აუცილებლობაზე და სხვა უფრო მკაცრი ნაბიჯების გადადგმისკენ.

— რა შემთხვევაში შეიძლება ვითარება მკაცრ ნაბიჯებამდე მივიდეს?

— ეს დამოკიდებულია იმაზე, უახლოეს დღეებში როგორ განვითარდება მოვლენები. ისევ თუ მოხდა ორი სამხედრო თვითმფრინავის შეჯახება, მაშინ რისკების მანქანა სრული დატვირთვით ამუშავდება და შეიძლება ვითარება მეტად მძიმე შედეგებამდე მივიდეს.

— ვლადიმერ პუტინი აცხადებს, რომ ტერორიზმის მხარდამჭერებმა რუსეთს ზურგში დანა ჩაარტყეს. პუტინის ამგვარი შეფასება არის პროპაგანდის ნაწილი, დაიწყო რუსეთმა საინფორმაციო ომი თურქეთის წინააღმდეგ?

— აბსოლუტურად გეთანხმებით, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდა საინფორმაციო ომში და მეტი არაფერი. ორივე მხარემ გამოაქვეყნა რუკები, თურქეთი ამტკიცებს, რომ ორმა თვითმფრინავმა დაარღვია საჰაერო სივრცე, ერთი თვითმფრინავი არ დაემორჩილა გართხილებას, მეორე დაემორჩილა გაფრთხილებას და დატოვა თურქეთის საჰაერო სივრცე. რუსული მხარის მიერ გამოქვეყნებული რუკის მიხედვით, ეს თვითმფრინავები უახლოვდებიან სირია-თურქეთის საზღვარს, ამ რუკას თუ დავუჯერებთ, საზღვარი არ გადაუკვეთიათ. ჯერ მიდის არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების ომი.

აქამდე რუსეთს ყველაფერი გასდიოდა. სირიის ტერიტორიაზე ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბროლაში ჩაბმულ სახელმწიფოებთან ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე, შეიყვანა თავისი სამხედრო ძალები და დამოუკიდებლად დაიწყო სამხედრო ოპერაცია. მიუხედავად არაერთი მოწოდებისა, რომ კოორდინირებული ყოფილიყო ეს მოქმედება პროცესში ჩართულ სხვა სახელმწიფოების სამხედროებთან, ამგვარი კორდინაციის აწყობა ვერ ხერხდება.

— ნატოს ხელმძღვანელობამ და აშშ-ის პრეზიდენტმა გააკეთეს განცხადება, რომ რუსეთი ამ შემთხვევაში უცნაურ თამაშს თამაშობს...

— დიახ, ასეა და ითქვა, რომ ისლამური სახელმწიფოს ნაცვლად ებრძვის ასადის ოპოზიციას. სხვათა შორის ის თურქმენთა ტომიც, რომელიც თურქეთის საზღვართან ცხოვრობს, ასევე ასადის ოპოზიციურ ბანაკს მიეკუთვნება და მის წინააღმდეგ ბომბების გამოყენება, სწორედაც რომ ასადის ხელისუფლების პოლიტიკური მხარდაჭერის ნიშანია. ვითარება არეულია, არ არსებობს ერთიანი კოალიცია, ცალკეულ მოთამაშეებს საკუთარი დღის წესრიგი აქვთ და ეს ქმნის სწორედ ქაოსს.

— შესაძლებელია, რომ რუსეთის თვითმფრინავის ინციდენტთან დაკავშირებულმა ვითარებამ, სირიის პრობლემის დარეგულირების საკითხი უკან დახიოს?

— ამაში ეჭვი არავის ეპარება. თუკი ერთსულოვნება არ იქნება ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ მებრძოლ სამხელმწიფოთა რიგებში, წარმატებაზე ლაპაკარი ზედმეტია. სირიის თემა, ეს შემადგენელი ელემეტია იმ მოვლენის, რასაც ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა ეწოდება. იცით, რომ ისლამური სახელმწიფო მხოლოდ სირიის ტერიტორიაზე არ აცხადებს პრეტენზიას, ერაყზეც არის საუბარი და მსოფლიოს სხვა ნაწილებზე. ფსონი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ზოგიერთს ეჩვენება. ამიტომ, ასეთი შედარებით ვიწროპოლიტიკური დღის წესრიგის წინ წამოწევა, სერიოზულ საფრთხეს შეიცავს, მათ შორის, გლობალური მასშტაბითაც.

— რუსეთის პრეზიდენტმა პირდაპირ დასდო ბრალი თურქეთს იმაში, რომ თავისი მოქმედებით ზურგს უმაგრებს ისლამურ სახელმწიფოს...

— მაშინ ძალიან მარტივი შეკითხვა მაქვს — თავისი მოქმედებით ვის წინააღმდეგ და ვის მხარადასაჭერად იბრძვიან სირიაში რუსეთის საავიაციო ძალები? ყველაფერი ისე მარტივად არ არის.

— სამხედრო მიმომხილველი პაველ ფელგენგაუერი ვარაუდობს, რომ იქნება საჰაერო ბრძოლები, რომლებშიც რუსული თვითმფრინავები შეუტევენ თურქულს, რათა დაიცვან საკუთარი ბომდამშენები. შესაძლოა, ბრძოლები ზღვაზეც თურქეთისა და რუსეთის ფლოტებს შორის. შესაძლოა, ბოსფორის სრუტის დახურვა თურქების მიერ და ამ კონფლიქტში ნატოს სხვა ქვეყნების ჩართვაც. ფელგენგაუერის პროგნოზიდან ჩანს, რუსეთი ომს იწყებს...

— იმედია, ამგვარი პროგნოზი არ ახდება, მაგრამ მისი დასაშვებობის გარკვეული ნაწილი სრულიად რეალურია. სამხდრო ძალებისა და საბრძოლო ქვედანაყოფების განლაგების კუთხით სირიაში ძალიან ჭრელი სურათია, შესაბამისად, ერთმანეთთან დაპირისპირებული ძალებს შორის შეჯახება და ცალკეული ინციდენტები გამორიცხული არ არის. უპირველეს ყოვლისა, აქ საუბარია საჰაერო დაპირისპირებებზე. იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტი უფრო ღრმად წავიდა და საერთაშორისო ძალისხმევით ვერ მოხერხდა მისი დროზე აღკვეთა, შეიძლება ამგვარი დაპირისპირება საზღვაო ძალებზე გავრცელდეს. თუმცა, არა მგონია, რომ ეს მსოფლიომ დაუშვას. ამგვარი დაპირისპირება არავის ინტერესებში არ არის.

— რუსეთს რამდენად აქვს დღეს ამგვარი სამხედრო დაპირისპირების პოტენციალი?

— არა, რუსეთს არ გააჩნია ამის პოტენციალი, რომ ამ დაპირისპირებას წარმატებით გაართვას თავი, დასავლეთს ამის ინტერესი არა აქვს. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ამგვარი აპოკალიპტური სცენარი ალბათ, არ განვითარდება. რუსეთმა თქვა, რომ არ აპირებს შურისძიებას, მაგრამ ამგვარი კონფლიქტების დროს სიტყვა და საქმე ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს.

— ორ ქვეყანას შორის შექმნილმა ვითარებამ რა გავლენა შეიძლება იქონიოს საქართველოზე?

— ძნელი სათქმელია. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. თუმცა, შექმნილი ვითარება ზრდის რეგიონში დესტაბილიზაციის რისკს, რაც უდავოდ საზიანოა საქართველოს ინტერესებისათვის, რადგან ხელს შეუშლის ეკონომიკურ პროექტებს, ალბათ, დაძაბულობას გაზრდის შავ ზღვაზე. პირდაპირ საფრთხზე საუბარი არ არის, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ განვითარდება მოვლენები რეგიონში, კონკრეტულად სირიაში და სამხერთ კავკასიაში.

თამთა ქარჩავა

◎ კინემატოგრაფიის დიდი დანაკლისი



„ფესვების“ ავტორის აღსასრული

ცნობილი ქართველი რეჟისორი და სცენარისტი გუგული მგელაძე 87 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას გადაღებული აქვს ისეთი პოპულარული ფილმები, როგორებიცაა: „ბურთი და მოედანი“, „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“, „ცისკრის ზარები“, „მაცივარში ვიღაც იჯდა“, „ბაგრატიონი“, „ფესვები“, „წარსული მუდამ ჩვენთანაა“, „ჩაკლული სული“, „გაჭედილები“ და სხვა.

გუგული მგელაძის გარდაცვალებაზე ინფორმაცია ფეისბუქის საკუთარ გვერდზე მისმა შვილიშვილმა, ჟურნალისტმა ნინია ახვლედიანმა გაავრცელა და მას „ფესვების“ ფინალური სცენის ვიდეო დაურთო.

„მარტო ამ ფინალის გამო ღირდა ცხოვრება. ვამაყობ, რომ ბაბუაჩემი ასეთი რეჟისორი იყო. სიმბოლურია, გუშინ ელდარ რიაზანოვიც გარდაიცვალა... სიმბოლურია, გუშინ თბილისის კინოფესტივალი გაიხსნა. გუგული მგელაძე უკვე ქართული კინოს ისტორიაა“, — წერს ნინია ახვლედიანი.

გარდაიცვალა ელდარ რიაზანოვი



ცნობილი რუსი და საბჭოთა კინორეჟისორი ელდარ რიაზანოვი 89 წლის ასაკში მოსკოვში გარდაიცვალა. „რია ნოვოსტის“ ცნობით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მიმდინარე წელს ის არაერთხელ იყო ჰოსპიტალიზებული. 2015 წლის აგვისტოში გულის ინფარქტის დიაგნოზით ბაკულევის სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს. ოქტომბერში კი მას გეგმური მკურნალობა ჩაუტარდა. ბოლოს მისი ჰოსპიტალიზება 21 ნოემბერს მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში გახდა საჭირო.

ელდარ რიაზანოვი ავტორია მოთხრობებისა და სცენარებისა, რომელთა მიხედვით შექმნა ფილმები: „უფრთხილდი ავტომობილს“, „წარმატების ზიგზაგი“, „იტალიელების არაჩვეულებრივი თავგადასავალი რუსეთში“, „ბედის ირონია, ანუ გაამოთ“, „სამსახურებრივი რომანი“ „საკარნავალო ღამე 2, ან 50 წლის შემდეგ“ და სხვა.

◎ კვალი დროში

როცა მეცნიერი უწინარესად ჭეშმარიტი ადამიანია...

დიდი სიყვარულით და პატივისცემით ვულოცავთ 85 წლის იუბილეს პროფესორ რაფიელ ჩიქოვანს

2015 წლის 29 ნოემბერს ცნობილ ქართველ მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, საერთაშორისო ოპტიკური ტექნიკის საზოგადოების საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების პრეზიდენტს, მშობლიური ლეჩხუმის საპატიო მოქალაქეს რაფიელ ჩიქოვანს 85 წელი შეუსრულდა.

იგი არის მაღალი ერუდიცის, შრომისმოყვარე, პრინციპული, თავმდაბალი, დიდი ორგანიზატორული და პერსპექტიული ალღოთი დაჯილდოებული, ყურადღებიანი და უაღრესად გულისხმიერი მეგობრებისა და კოლეგებისადმი.

რაფიელ ჩიქოვანი დაიბადა 1930 წელს, დაბა ცაგერში. 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. 1965 წელს დაინიშნა ნახევარგამტარული ხელსაწყოების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ინსტიტუტში შეიქმნა ნახევარგამტარული ოპტოელექტრონიკის მიმართულება. 1973 წელს ჩამოყალიბდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „მიონი“ ქარხნითურთ და რ. ჩიქოვანი დაინიშნა დირექტორის მოადგილედ. 1977-1984 წწ. რაფიელ ჩიქოვანი იყო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „მიონის“ და მისი ქარხნის დირექტორი. 1970 წელს დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1998 წელს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1992 წელს აირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1996 წელს — ამ აკადემიის ნამდვილ წევრად. ოპტოელექტრონული ხელსაწყოების დამუშვებისა და შექმნისთვის თანამშრომელთა ჯგუფს რ. ჩიქოვანის ხელმძღვანელობით 1980 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

მისი სამეცნიერო მოღვაწეობის სფეროს წარმოადგენს ნახევარგამტარების ფიზიკა, განსაკუთრებით ნახევარგამტარული ოპტოელექტრონიკა, მისი სამეცნიერო მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი კვლევითი ცენტრების მეცნიერებთან. იგი თავისი დაუცხრომელი საქმიანობით ახალ-ახალ თაოსნობათა ორგანიზატორია, რომელთა განხორციელებისთვის იღვწის ახალგაზრდული ენერგიითა და შემართებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა მტკივნეული საკითხის მიმართ.

რ. ჩიქოვანი უმაღლესი სკოლის სასწავლო პროცესის ორგანიზატორი და აღიარებული პედაგოგია. 1989-2004 წლებში იყო საინჟინრო ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი, სტუ-ს ფუნდამენტურ მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსის ხელმძღვანელი, ფუნდამენტურ მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი, ფიზიკა-ტექნიკისა და ელექტრონიკის ფაკულტეტის დეკანი.

სამაგალითოა რ. ჩიქოვანის დამოკიდებულება სტუდენტებთან და თანამშრომლებთან. იგი არის არაჩვეულებრივად კეთილმოსურნე და მზრუნველი, სპეტაკი პიროვნება.

ვუსურვებთ, ბატონ რაფიელს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, რათა ჩვეული ენერგიით, ხალისით, დაუშრეტელი შრომისუნარიანობითა და ღრმა ინტელექტით ემსახუროს თავის ქვეყანასა და ხალხს.

უახლოესი მეგობრები და კოლეგები

„სრ“ რედაქციისგან:

ბატონ რაფიელ ჩიქოვანს, მეცნიერსა და მოღვაწეს, არცრა სამეცნიერო წოდება არ აკლია, იგი დოქტორიც არის, პროფესორიც, აკადემიკოსიც, არაერთი საზოგადოების თავმჯდომარე და პრეზიდენტია, მთავარი კი, ჩვენი აზრით, მაინც ბატონი რაფიელის ჭეშმარიტად დიდი, ღვთისნიერი კაცური კაცობა და ადამიანობაა. იგი, უწინარესად, ადამიანობის დოქტორი, პროფესორი და აკადემიკოსია. სწორედ ასე იცნობს მას ჩვენი რედაქცია, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, რომლის უძველესი მეგობარი და ყოველთვის სასურველი ავტორი იყო და არის ბატონი რაფიელი. ამიტომ ჩვენი რედაქცია მთელი სულითა და გულით უერთდება იუბილარის მეგობრებისა და კოლეგების გულითად მილოცვას.

◎ ექსპერტის აზრი

საოცარი დაუდევრობა თუ დილეტანტიზმი?

„სამშობლოს ღალატისთვის პასუხისგებაში უნდა მიეცეს ყველა, ვინც მარუხი დათმო“

ისლამისტი **რადიკალების გააქტიურების გამო ქვეყნის წინაშე რთულ გამოწვევად რჩება საზღვრის დაცვის პრობლემა. სასაზღვრო უსაფრთხოების შესახებ For.ge ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, სასაზღვრო საკითხების დამოუკიდებელ ექსპერტს** **გელა ხუციშვილს** **ესაუბრა.**

— არის კი ჯეროვნად დაცული დღეს საქართველოს 2000-კილომეტრიანი საერთო საზღვარი თუ მეზობელ სახელმწიფოთა მესაზღვრეების კეთილსინდისიერებას უნდა ვენდოთ და მათ იმედად ვიყოთ?

— მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში წარმოქმნილმა დაძაბულობამ რეალობა შეცვალა. ამდენად, მთლიანად უნდა გადაიხედოს ქვეყნის უსაფრთხოების სისტემები. საუბარია სახელმწიფოს საზღვრის დაცვის სისტემაზე. დაუყოვნებლივ უნდა შემუშავდეს საზღვრის დაცვის სტრუქტურის ცალკე ერთეულად ჩამოყალიბებისა და საზღვრის დაცვის კონცეფცია, რაშიც შეტანილი უნდა იქნეს სამხედრო კომპონენტი და მთლიანად მთელი სამხედრო ძალების ყურადღების მობილიზება უნდა მოხდეს სახელმწიფოს საზღვრების დაცვისთვის.

— რამდენადაც ვიცი, ამჟამად შსს-ს წარმომადგენლები პატრულირებენ ჩვენს საზღვრებზე, ეს არასაკმარისია?

— თავის დროზე, როდესაც ორიენტირებულნი ვიყავით შენგენის სახელმწიფოებთან მიერთებაზე, ეს ყველაფერი მოთხოვნებს პასუხობდა, მაგრამ დღეს თვითონ შენგენის სახელმწიფოები გადადიან საზღვრის მკაცრი კონტროლის რეჟიმზე. რთული ვითარება თანდათან გვიახლოვდება. აგერ, რამდენიმე ათას კილომეტრში გახურებული ომია, ლტოლვილთა დიდი ნაკადები იწყებს გადმოსვლას და ტერორისტული ჯგუფები იწყებენ მოქმედებას. ცხადია, ასეთ დროს საზღვრის დაცვის კონცეფციაში სამხედრო კომპონენტის შეტანა აუცილებელია. რაც მთავარია, მეზობელ სახელმწიფოებთან სერიოზული მუშაობა გვმართებს ოპერატიული ინფორმაციის გაცვლის მიზნით. უნდა ჩამოვყალიბდეთ, რეალური საფრთხე მყისიერად საიდან გველის.

— არც ერთ ჩვენს უახლოეს მეზობელთან არ გვაქვს დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხი მოგვარებული, არ ვიცით, საზღვარი სად გადის. ეს მხოლოდ საქართველოს რთული გეოპოლიტიკური ვითარებით აიხსნება? ასევე, საინტერესოა, როდესაც საზღვრებზე ვსაუბრობთ, რითი ვხელმძღვანელობთ, 1921 წლის საზღვრებით თუ 1991 წლის, ანუ ზვიად გამსახურდიას პერიოდში დადგენილი საზღვრებით?

— 1991 წელს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან ზუსტად იმ ტერიტორიით გამოვედით, რომელი ტერიტორიითაც შევედით 1937 წელს, როცა საბჭოთა კავშირის შემადგენლობას ცალკე რესპუბლიკის სახით მივუერთდით. ამის შემდეგ კონსტიტუციაშიც დავაფიქსირეთ, რომ 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საზღვრები ითვლებოდა ჩვენს სახელმწიფო საზღვრებად და მეზობელ სახელმწიფოებთან ტერიტორიული დავა არ გვექნებოდა, ანუ პატივს ვცემდით მათ ტერიტორიულ მთლიანობას. ახლა იწყებოდა პროცესი, სადაც ზოგიერთ კონკრეტულ მონაკვეთზე უნდა დაზუსტებულიყო საზღვარი, მაგრამ სამწუხარო ფაქტია, რომ საქართველოს არა აქვს მყარად ჩამოყალიბებული სახელმწიფო სასაზღვრო პოლიტიკა. ეს არის მთელი ჩვენი ტრაგედია. 2013 წლიდან მოყოლებული, დღემდე სახელმწიფო სადელიმიტაციო კომისიას, რომლის თავმჯდომარესაც 2003 წლამდე პარლამენტი ამტკიცებდა და დღეს ის არის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, არც ერთი სხდომა არ მოუწვევია. არც ერთ სახელმწიფოსთან ამ მიმართულებით მუშაობა არ მიმდინარეობს. აქ დემარკაციაზე არ არის საუბარი, აქ საუბარია დელიმიტაციაზე, ანუ რუკებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით საზღვრის განსაზღვრაზე. არავინ ზრუნავს, საბოლოოდ დაადგინოს, რა ფართობი უჭირავს საქართველოს. ეს არის 67, 69 თუ 70 ათასი კვადრატული კილომეტრი. არის ასეთი სივრცე-კონტინენტური შელფი, რომელიც ზღვის ნაპირიდან 12 მილის სიღრმემდე, ანუ სადღაც 20 კილომეტრის სიღრმემდე ფართობს გულისხმობს, საქართველოს კი კონტინენტური შელფი თავისი ტერიტორიის ფარგლებში არა აქვს შეტანილი. ანუ ამით 7 ათას კილომეტრს აღარ ვაფიქსირებთ, რომ ეს ჩვენი ტერიტორიაა. საქმე გვაქვს საოცარ დაუდევრობასთან, ან დილეტანტიზმთან.

— ამ რამდენიმე წლის წინათ აზერბაიჯანთან დავით გარეჯის მიდამოებში არსებული პრობლემები თითქმის დაპირისპირებაში გადაიზარდა. ყველაზე რთულად მაინც რომელ მეზობელთან მიიჩნევთ ურთიერთობას?

— მაგალითად, მცოცავი ანექსიაა, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსია ხდება. ეს ნიშნავს, რომ სხვა ეთნოსი შემოდის შენს ტერიტორიაზე, საზღვრისპირა რაიონს იკავებს, შემდეგ ეკონომიკურ ურთიერთობებს ავითარებს და მეზობელი სახელმწიფოს გავლენა შენს ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი ხდება, შენ მასზე ხარ დამოკიდებული სტრატეგიული ნედლეულით, ეს არის ნავთობი, შაქარი, ხორბალი. ასეთად ჩვენ აზერბაიჯანი გვევლინება.

იხ. 7 გვ.

◎ ალიან-ჩალიანი

მინის ნაკვეთი უსასყიდლოდ გადაეცა საპატრიარქოს

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას საგურამოში მდებარე 670 კვ.მ მიწის ნაკვეთი უსასყიდლოდ გადაეცა.

მთავრობის 27 ნოემბრის განკარგულებით. სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დაევალა, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

შეგახსენებთ, საქართველოს მთავრობის 21 სექტემბრის განკარგულებით, საპატრიარქოს ქობულეთში, აბაშიძის №128-ში მდებარე მიწის ორი ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები გადაეცა.

საპატრიარქოს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა ბობოყვათის რეზიდენცია — არასასოფლო-სამეურნეო მიწის ერთი ნაკვეთი, რომლის ფართობია 149 796 კვადრატული მეტრი, მასზე არსებული 18 ნაგებობითა და მოძრავი ქონებით.

ქართული ეთნოგრაფიული სამოსის გამოფენა

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში პროფესიული სტუდენტების მიერ შექმნილი „ქართული ეთნოგრაფიული სამოსის“ გამოფენა გაიხსნა. ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

გამოფენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებითა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით იმართება და 3 ნოემბრის ჩათვლით გრძელდება.

„ქართული ეთნოგრაფიული სამოსის“ გამოფენაზე წარმოდგენილია ეროვნული სამოსი და შესაბამისი აქსესუარები, რომელიც შექმნილია პროფესიული სტუდენტების მიერ პროფესიული მასწავლებლების აქტიური ჩართულობით. გამოფენაში მონაწილეობას ცსრა პროფესიული კოლეჯის სტუდენტები იღებენ.

მითი თუ რეალობა?

საქართველოში ბუნებრივი აირის ზღაპრული მარაგია!

გაზი იმდენი გვექნება, ჩვენს გვეყოფა და საზღვარგარეთასაც გავიტანთო...

წერილი მინდა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის საქართველოში ამასწინანდელი მოულოდნელი ვიზიტით დავიწყო, რომელსაც საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ჩვენებური ნაცები აღრფთოვანებული ჩანდნენ, აი, ნახავთ, ამბობდნენ ისინი, ჩვენ რომ იქით რუსულ „გაზპრომს“ ვეკურკურებით, ალიევი ამას არ გვაპატიებს, გაზის მოწოდებას შეგვიწყვეტს და ამ ზამთარს სიცივეში გვახავხავებსო.

ღვთის მადლით, მსგავსი არაფერი მომხდარა. ჯერ კიდევ ალიევის ჩამოსვლამდე, „სოკარმა“ დაგვამშვიდა: საქართველოში თუ „გაზპრომი“ შემოვა, ჩვენთვის პრობლემა არ იქნება, კონკურენციისა არ გვეშინია და ალტერნატიულ ბაზარში სიამოვნებით ვიმუშავებთო. არც ბატონ ილჰამ ალიევს გამოუთქვამს უკმაყოფილება რუსულ „გაზპრომთან“ დაკავშირებით. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის მტკიცებით, ალიევთან პრეზიდენტის სასახლეში გამართულ შეხვედრაზე „გაზპრომზე“ საუბარი საერთოდ არ ყოფილა. მისი თქმით, საუბარი შეეხო სხვადასხვა ენერგეტიკულ პროექტებს, რომელსაც საქართველოში „სოკარი“ ახორციელებს.

„ჩვენ მეგობრები ვართ, ძმები ვართ და დღევანდელი წარმატებული ვიზიტი და შეხვედრა ჩვენი სამომავლო ურთიერთობების დინამიკური განვითარებისთვის წარმართული ნაბიჯია – განაცხადა ალიევმა, **რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს ეკონომიკურ სფეროში ძალიან წარმატებული თანამშრომლობა აქვთ.**

თუმცა სხვაგვარად ფიქრობს აზერბაიჯანული მედია, რომელიც საქართველოს ხელისუფლებასა და „გაზპრომს“ შორის მოლაპარაკებებს „შეთქმულებას“ უწოდებს. ამასთან, იმასაც აღიარებენ, რომ ბაქოც მართავს მოლაპარაკებას „გაზპრომთან“ გაზის შესყიდვის თაობაზე. „გაზპრომთან“ თანამშრომლობა დამოკიდებულია საფასო წინადადებებზე, რომლებიც ორივე მხარეს აძლევს ხელს, – აცხადებს „სოკარის“ წყარო. ჰოდა, რატომ არ უნდა გვინდოდეს თანამშრომლობა „გაზპრომთან“, თუკი ეს ურთიერთობა ხელსაყრელია აზერბაიჯანისთვისაც კი, რომელსაც ილჰამ ალიევის თქმით, 100 წლის შემდეგაც შეუძლია გაზით არა მხოლოდ საკუთარი თავი დაიკმაყოფილოს, არამედ დააკმაყოფილოს მეზობლებიც და ევროპაც.

აზერბაიჯანს აქვს სატრაბახო და ტრაბახობს, თუმცა, როგორც ირკვევა, თურმე არც ქართველებს გვქონია ყურები ჩამოსაყრელი. თუ არ გჯერათ, აგერ არის, ბატონებო, ამერიკული ნავთობკომპანია „ფრონტერა“ და ჰკითხეთ. ახლახან მის მიერ გაკეთებულ განცხადებას თუ დავეყრდნობით, საქართველოს ბუნებრივი აირის გაცილებით დიდი, 3-ჯერ მეტი რესურსი აქვს, ვიდრე აზერბაიჯანს. ამ მაჩვენებლით ჩვენ ვუსწრებთ გაზის მომპოვებელ ისეთ აღიარებულ ქვეყნებს, როგორებიც არიან ქუვეითი, ლიბია, ყაზახეთი, უზბეკეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ჩინეთი, ინდონეზია და სხვები.

ავშენებულვართ და ეგ არისო, იფიქრებთ თქვენ და კონკრეტული ციფრებით დაინტერესდებით. აგერ არის ეს ციფრებიც, რომლებიც „ფრონტერამ“ გულდასმითი დაანგარიშების შემდეგ საჯაროდ წარმოადგინა. მისი მტკიცებით, **საქართველოში ბუნებრივი აირის შესაძლო მარაგი 3,8 ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. მწარე ხევისა და ტარიბანის გაზის კომპლექსებზე, ამბობენ ისინი, 365 მილიარდი კუბური მეტრის გაერთიანებული პერსპექტიული ბუნებრივი გაზის რესურსია, მათ შორის 266 მილიარდი კუბური მეტრი – ამოსაღები პერსპექტიული რესურსები.**

ამდენი კაცო?! თუ ასეთი ზღაპრული რესურსები გაგვაჩნია, ეს ჩვენი ნავთობისა და გაზის კორპორაცია რამ დაადუმა? მას „ფრონტერას“ აღმოჩენაზე რატომღაც დღემდე კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა განმარტა, რომ საქართველოში თავისუფალი გაზის დადასტურებული მარაგი შეფასებულია რუსთავის, სამგორის, ნინოწმინდის, მწარე ხევის საბადოებზე და **მათი ჯამური რაოდენობა შეადგენს 1,874 მილიარდ კუბურ მეტრს. გარდა ამისა, ნავთობში გახსნილი მარაგიც დათვლილია და ის შეადგენს 75,3 მილიონ კუბურ მეტრს, ანუ ჯამურად თავისუფალი გაზის და ნავთობში გახსნილი გაზის დადასტურებული მარაგები 1,922 მილიარდი კუბური მეტრია, რაც „ფრონტერას“ გათვლებს ორი ათასჯერ ჩამორჩება(!).**

სხვაობა გამიგია, მაგრამ ამხელა? თუმცა „ფრონტერასგან“ გასაკვირი არაფერია. მან შარშანაც გაგვაოცა „აღმოჩენით“, როცა საზეიმოდ განაცხადა, იორმუღანლოში 42 მილიარდი კუბმეტრი გაზი აღმოვაჩინეთო და ისიც დაამატა, ამ რაოდენობით საქართველო მომავალში ენერგოდამოუკიდებელობისკენ მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამსო. ისე დაუმშვენდა ცხვირი „ფრონტერას“ წარმომადგენელ სტივ ნიკადროსს (განაცხადი სწორედ მან გააკეთა), როგორც ეს სიმართლე გამოდგა.

ამან მე გამახსენა შევარდნაძის მმართველობის პერიოდი საქართველოში, როცა აღმოჩენების სურვილით შეპყრობილი არა ერთი და ორი უცხოური ნავთობკომპანია მოადგა ქვეყანას ამერიკიდან, ინგლისიდან, ავსტრალიიდან თუ სხვა ქვეყნებიდან. ყველა იმათგანი საქართველოს ამა თუ იმ მხარეში, მათ შორის შავი ზღვის შელფშიც კი, ეწეოდა ნავთობის მარაგის დაზვერვას და აღმოჩენილი ზღაპრული მარაგების კვალობაზე ქართველ ხალხს ბედნიერ ცხოვრებას უწინასწარმეტყველებდა. მახსოვს მაშინ დედოფლისწყაროში, მთავრობის წევრებთან ერთად ჟურნალისტებიც მიგვიწვიეს. ახლაც თვალწინ მიდგას ედუარდ შევარდნაძის გაბრწყინებული სახე, რომელმაც კამკამა ნავთობით გალიცლიცებული ჭიქა ეშხით დააჭაშნიკა და ქვეყანას აღმშენებლობის ახალი ეტაპის დადგომა მიულოცა.

ამის თაობაზე მაშინდელმა პრესამ, მათ შორის „საქართველოს რესპუბლიკამ“ არაერთი იმედის მომცემი წერილი თუ სტატია გამოაქვეყნა, რომლებიც ისტორიას შემორჩა, თავად ზღაპარი კი, რომ საქართველო უმდიდრესი ნავთობის საბადოების მფლობელია, ნელ-ნელა გაფერმკრთალდა და საბოლოოდ გაქრა. მახსენდება „საქნავთობის“ მაშინდელი გენერალური დირექტორი რევაზ თევზაძე, მეცნიერი და ამ დარგის დიდი სპეციალისტი, იმედიანად კი იყო განწყობილი „ფრონტერას“ მიმართ, მაგრამ როგორღაც მაინც ეჭვობდა და მეუბნებოდა: **ამ ქვეყნად მხოლოდ მამაზეციერმა იცის, ქართულ მიწაში რა მოცულობის ნავთობის საბადოებია ჩაბუდებულიო.**

ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ახლაც იგივე მეორდება, ოღონდ ამჯერად უკვე ბუნებრივ აირთან დაკაშვირებით, რომლის მოპოვება საქართველოში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. ეს იყო სამგორი-პატარძეულის საბადოდან მოპოვებული ნავთობის თანმყოლი გაზი, რომლის წლიური მოცულობა პიკური მოპოვების წლებში 300 მილიონ კუბმეტრს არ აღემატებოდა. მას შემდეგ, რაც რუსთავის გაზის საბადო აღმოაჩინეს (1983 წ.), თავისუფალი გაზის მოპოვებაც დაიწყო, ეს პროცესი გაგრძელდა ნინოწმინდის უბანზეც, მაგრამ მოპოვებითი სამუშაოები იმდენად მცირეა და, აქედან გამომდინარე, მისი შედეგიც, რომ სალაპარაკოდაც არ ღირს.

აი, ეს გახლავთ დადასტურებული რეალობა სადღეისოდ და არა ის ზღაპარი თუ სპეკულაციები, რომლებსაც „ფრონტერა“, შესაძლოა საკუთარი აქციების ფასის გასაზრდელად გვთავაზობს. წამოეგება თუ არა ამჯერად „ფრონტერას“ ანკესზე ამჟამინდელი ხელისუფლება, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ოთარ ხუციშვილი

როდის განახლდება შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა?

„თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტი აღდგება“, – განაცხადა თბილისის მერის მოადგილემ ირაკლი ლექვინაძემ. მისი თქმით, არსებობს პროექტის აღდგენის სამი ვარიანტი, რომელთაგან საუკეთესოს თბილისის გენერალური გეგმის ავტორები აირჩევენ. ლექვინაძემ განმარტა, რომ წინა ხელისუფლების დროს შემოვლითი რკინიგზის პროექტი ეკონომიკური და ტექნიკური დასაბუთების გარეშე, სერიოზული ხარვეზებით მომზადდა და იმ ფორმით მისი განხორციელება აბსოლუტურად მიუღებელი იყო.

„იმ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, კორიდორის გამტარუნარიანობა 20 პროცენტით მცირდებოდა, ხოლო საოპერაციო და მოვლა-შენახვის ხარჯი 10-წლიან პერიოდზე გაანგარიშებით დაახლოებით 67 პროცენტით იზრდებოდა. დღეს წარმოდგენილი 3 ვარიანტის ეკონომიკური და ტექნიკური პარამეტრები არის ბევრად უკეთესი“, – განაცხადა ლექვინაძემ.

თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა 2010 წელს ნაციონალების ძალისხმევით დაიწყო, რისთვისაც 213 მილიონი აშშ დოლარი, ანუ პროექტის ღირებულების 65% დაიხარჯა.

მოგვიანებით, ახალმა ხელისუფლებამ ეს პროექტი იმ მოტივით შეაჩერა, რომ მიმდინარეობდა დამატებითი კვლევები და საბოლოო გადაწყვეტილებას მთავრობა მიიღებდა.

ამის შემდეგ შემოვლითი რკინიგზის მოწინააღმდეგეებსა და მომხრეებს შორის დავა საფუძვლიანი არგუმენტების თანხლებით გრძელდებოდა.

შემოვლითი რკინიგზის სასარგებლოდ განსაკუთრებული ყურადღება იმ ფაქტს ექცეოდა, რომ პროექტის ორი მესამედი უკვე დასრულებული იყო. ასევე, ერთ-ერთი წონადი არგუმენტი გახლდათ ფეთქებადსაშიში ტვირთების ქალაქგარეთ გადატანა, რის შედეგადაც ქალაქში მცხოვრები ადამიანების უსაფრთხოება დაცული იქნებოდა; პარალელურად, ქალაქში შემცირდებოდა დაბინძურება და ხმაური; თბილისის ცენტრში კი გამოთავისუფლდებოდა სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მიერ დაკავებული ტერიტორია.

თუმცა შემოვლითი რკინიგზის მოწინააღმდეგეების არგუმენტებიც გასათვალისწინებელი იყო – კერძოდ, შემოვლითი რკინიგზა ქალაქში გამავალ ხაზზე გრძელი იყო, რაც მის საოპერაციო ხარჯებს ზრდიდა; პროექტის დასასრულებლად დამატებით 137 მილიონ აშშ დოლარზე მეტი იყო საჭირო, ქალაქის ცენტრში გამოთავისუფლებული ტერიტორიის ღირებულება კი შესაძლოა, მოსალოდნელზე გაცილებით ნაკლები ყოფილიყო.

„საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენელთა თქმით, შემოვლით ხაზს ისეთი დახრილობა ჰქონდა, რომ აღმართზე ასასვლელად და შემდეგ დაღმართზე დასამუხრუჭებლად მატარებელს დამატებითი ძრავები უნდა დამონტაჟებოდა, რაც ამცირებდა გამტარუნარიანობას და ზრდიდა ენერგიის დანახარჯს. მაშინ, როცა თბილისის ცენტრის ის ნაწილი, სადაც ამჟამად რკინიგზის ხაზი გადიოდა, ვაკე იყო.

For.ge-სთან საუბრისას თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის აღდგენას თავისებურად განიხილავს ქალაქდაგეგმარების სპეციალისტი ზურაბ ბაქრაძე.

„თავის დროზე შემოვლით რკინიგზაზე ხელაღებით უარის თქმა არ შეიძლებოდა. შემოვლითი ხაზი ქალაქის გადაღმა უნდა გადავიდეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოიშალოს არსებული ხაზი. ჩვენი ქვეყნის ტრანზიტულობიდან გამომდინარე, ნავთობი და ბევრი სხვა ფეთქებადსაშიში ნივთიერება უნდა გადაიტანონ შემოვლით გზაზე ტვირთების სახით. რკინიგზის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც წინა ხელისუფლებამ მიიღო, თბილისის ზღვასთან ძალიან ახლოს გადიოდა, რაც შესაძლო დაბინძურების გამო საფრთხეს უქმნიდა თბილისის ზღვას, როგორც სასმელის რეზერვუარს. ნავთობიანი ან შხამქიმიკატიანი ერთი ცისტერნაც რომ გადაყირავებულიყო, ეს მთელ ქალაქს დაღუპავდა. ამიტომ, თუ სხვა ვარიანტს განიხილავენ, კარგი იქნება“, – აცხადებს ზურაბ ბაქრაძე.

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა-თბილისის“ თავმჯდომარე ირაკლი აბესაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ შემოვლითი რკინიგზის პროექტის სამი წლით შეჩერება, მხოლოდ და მხოლოდ პროექტის გადამუშავების მოტივით, დანაშაული და მავნებლობა იყო საკუთარი ქალაქის წინაშე. ეს მაშინ, როცა ამ სამ წელიწადში სამუშაოების ფაქტობრივი დასრულება იყო შესაძლებელი და დღეს აღმოსავლეთ-დასავლეთის შემაერთებელი საავტომობილო მაგისტრალი ქალაქის ცენტრში უკვე დასრულების ფაზაში უნდა ყოფილიყო.

„ეს პროექტი მაქსიმალურად განტვირთავდა ქალაქს საცობებისგან. გარდა ამისა, ქალაქის ცენტრში თავისუფლდებოდა დაახლოებით 150 ჰექტარი მიწა, რომელიც ახლებურ განვითარებას მოითხოვდა, სადაც ასეულ მილიონობით დოლარის ინვესტიციის მოზიდვა იქნებოდა შესაძლებელი“, – აღნიშნა ირაკლი აბესაძემ.

მანანა ნოზაძე

◎ ექსპერტის აზრი

საოცარი დაუდევრობა თუ დილეტანტიზმი?!

(მეხუთე გვერდიდან) რაც შეეხება თურქეთს, მან აჭარის მონაკვეთში თითქმის მთლიანად დაასრულა საქართველოს ტერიტორიის ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსია. გახსოვთ, ალბათ, მიშა სააკაშვილის ბოლო დოკუმენტი, როცა ცხრა ათას თურქს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა. კონსტიტუციაში წერია, რომ საქართველოს ტერიტორიის გასხვისება კანონით აკრძალულია. ქვეყნის სათავეში არ იციან, რა არის სახელმწიფოს ტერიტორია. მათ უნდა განემარტოთ, რომ ეს არის მიწა, ჰაერი და წყალი, რომელზეც ვრცელდება ქვეყნის იურისდიქცია. ამდენად, ბურების, არაბების, ინდოელების ხელში გადასული ათასობით ჰექტარი მიწის ფართობი არის თუ არა საქართველოს ტერიტორიის გასხვისება? კანონი სახელმწიფო საზღვრის შესახებ კრძალავს სასაზღვრო ზოლში 500 მეტრში და 5 კილომეტრში მიწების ყიდვა-გაყიდვას.

— გამონაკლისის სახით მხოლოდ პრეზიდენტს აქვს დროებით გასხვისების უფლება.

— გაყიდვის უფლება არც პრეზიდენტს აქვს, მას აქვს მხოლოდ სამეურნეო საქმიანობაზე დაშვების უფლება სასაზღვრო ზოლში. ჩვენ უკვე კატასტროფამდე მივდივართ, კანონები არ ემთხვევა კონსტიტუციას, ხოლო კანონები, რომლებიც კონსტიტუციას ემთხვევა, არ მოქმედებს.

— ისტორიულად საქართველო ცდილობდა, ჩრდილოეთით დარიალის კარი დაეცვა, რომელიც ოს-ხაზართათვის გზის შესაკრავად იყო განკუთვნილი. რამდენად საგანგაშოა, რომ 43 უღელტეხილიდან რუსეთი 25-ს აკონტროლებს?

— ასეთი ფრთოსანი გამოთქმაცაა, საქართველომ შეაძლებინა რუსეთს, აემაღლებინა ჯვარცმა ნახევარ მთვარეზე ზემოთ კავკასიაშიო, ანუ სანამ რუსები საქართველოდან არ მიადგნენ შამილის აჯანყებულებს, მანამ ვერ შეძლეს მათი დამარცხება. მეორე მომენტიცაა, ნატოსთან სახმელეთო შეხება საბჭოთა კავშირს მარტო საქართველოსა და სომხეთის მონაკვეთზე ჰქონდა თურქეთთან, ამიტომ ძალზე გაძლიერებული იყო პირველი ეშელონი აჭარის აქეთ, სომხეთის მიყოლებაზე. დღეს ასე არ არის, ამიტომ რუსეთი ცდილობს, პირველი ეშელონის დაცვა გადმოიტანოს კავკასიის ქედს აქეთ. ამის ნიშანია მარუხის უღელტეხილი. საფუძვლიანი გამოძიება რომ ჩატარდეს, სამშობლოს ღალატისთვის უნდა მიეცეს ყველა, ვინც მარუხი დათმო. მარუხი არის კოდორის ხეობაში. ახლა მამისონიც ჩაიგდეს ხელში. ორივე მიმართულებაზე 20-25 კილომეტრით შემოვიდნენ. ეს გზა მიყვება ჯავიდან, შემდეგ გადადის თრუსოს ხეობაში და ძალა, რომელიც მას შეაჩერებს, არ ჩანს. როცა მთელ მსოფლიოში უკონტროლო სიტუაციაა, ამ დროს დაუშვებელია ნაღმის შემოტანა და ეს ნაღმი იქნება არაბული ქვეყნებიდან წამოსული ლტოლვილები. იმათ ჩვენთან შემოსვლა არ უნდათ და ტყუილად ნუ ვექაჩებით აქეთკენ, მერე ეს სანანებელი გაგვიხდება.

— ანუ ტერორისტები შემოყვებიან ოჯახის წევრებს და მშვიდობიან სამოქალაქო პირებად მოგვევლინებიან?

— როდესაც არაპროფესიონალები იკავებენ საკვანძო თანამდებობებს, მათ არ იციან, როგორ უნდა აღასრულონ თავიანთი საქმე. როდესაც საზღვარზე დიდი რაოდენობით უკონტროლოდ შემოდის მოსახლეობა, ისინი უნდა განათავსო საფილტრაციო ბანაკებში, იქ უნდა გამოვლინდეს, ვინ არის ტერორისტებთან, კონტრაბანდისტებთან კავშირში და ამის შემდეგ უბრალო ადამიანები შემოუშვან ქვეყანაში. სტიქიურად შემოსულ ხალხს ათასი მამაძაღლი შემოჰყვება. ასეთი რამ უკვე მოხდა ჩვენთან ჩეჩნეთის მხრიდან. ახლა კიდევ განმეორდება. ყველა დუმს, თუ სად არის ის ხალხი, რომლებიც ალეპოდან, სირიიდან, ლიბიიდან ჯერ კიდევ მეორე-მესამე ფაზამდე მისულ საფრთხემდე წამოვიდნენ? ესენი იყვნენ საკმაოდ შეძლებული სომხური მოსახლეობა. ისინი ერევანში არ შესულან. სად არიან?

ჩინელები რომ მოდიან, ეს სხვა საქმეა, ჩინელები მოდიან თავიანთი სახელმწიფოს ხელშეწყობით, იცვლიან გვარსაც, რელიგიასაც, მთავარია, დასახლდნენ აქ და დამაგრდნენ, მაგრამ სირიიდან და ლიბიიდან გამოქცეულ შეძლებულ სომხებს დასასახლებლად ტერიტორია სჭირდებათ.

— მართალია, რომ გარდაბნის ტერიტორიისა და სამცხე-ჯავახეთის სასაზღვრო ზოლში მიწები ჰექტრობით იყიდება?

— გარდაბანი და ახალქალაქი პრობლემატურია იმიტომ, რომ იქით სომხური და აქეთ აზერბაიჯანული მოსახლეობა ცხოვრობს და აქ რისკის ზონა ცოტა მაღალია. იქაურ ადგილობრივ სივრცეში სასაზღვრო ზოლი პრივატიზებულია და ხდება განსახლების ზოლის განაშენიანება, რაც დასახლებული პუნქტის მთლიანად უწყვეტ ნაკადს ქმნის. დღეს თუ არა ხვალ, ეს პრობლემად გადაიქცევა.

— როდესაც ხმელეთი მეტ-ნაკლებად დაუცველია, რა ხდება ამ მხრივ ცისა და საზღვაო აკვატორიის მხრივ?

— ხმელეთი დაუცველი არ არის, ხმელეთზე განლაგებულია სასაზღვრო დეპარტამენტი, საპატრულო პოლიცია. ისინი ერთეულებს აფიქსირებენ, მაგრამ მათი შესაძლებლობა, შეიარაღება დღეს უკვე ვეღარ უპასუხებს მოთხოვნას და ამიტომ აუცილებელია ამის გადაყვანა ცალკე სამხედრო კომპონენტად. რაც შეეხება ზღვას, ჩვენ ვართ საზღვაო სახელმწიფო. შავი ზღვის აუზი მოიცავს 36 ქვეყანას, ეს ის ქვეყნებია, რომლებიც სარგებლობენ შავი ზღვის, როგორც სატრანსპორტო საშუალებით, მაგრამ ხუთი ქვეყანა უშუალოდ შავი ზღვისპირა სახელმწიფოა და ამ ხუთ ქვეყანას აწევს შავ ზღვაზე უსაფრთხოების ტვირთი. ასეთ ვითარებაში, საქართველო ერთადერთი საზღვაო ქვეყანაა, რომელსაც საზღვაო ძალები არ გააჩნია. როდესაც სამშვიდობო მისიები, წვრთნები ტარდება შავ ზღვაში, ჩვენ ვერ ვღებულობთ მონაწილეობას. შავი ზღვის საერთაშორისო საზღვაო კონვენცია 1982 წელს მიიღეს და ამ კონვენციას 1993 წელს მივუერთდით. კონვენციის თანახმად, 12 მილზე მეტი არ შეიძლება იყოს ტერიტორიული წყლების სიღრმე, შეგვიძლია, ნაკლები გვქონდეს. მაგალითად, თურქეთს 6 მილი აქვს. ეს ის ტერიტორიაა, სადაც სასაზღვრო რეჟიმი ვრცელდება და, რომლის გადმოლახვის უფლება მხოლოდ სახელმწიფოს გადაწყვეტილების შემდეგ ეძლევა ნებისმიერ სხვა ქვეყანას. ამ დროს ცეცხლის შეწყვეტის ზონაში — ოჩამჩირის, სოხუმის, გაგრის ტრავერსზე, ანუ აფხაზეთის მონაკვეთზე, აფხაზებმა ცალმხრივად 15 მილი დააწესეს. ისინი არც კონვენციას არ არიან მიერთებული, არც საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო არ არიან და ზღუდავენ შავ ზღვაზე ნაოსნობას. ამაზეც არავინ ხმას არ იღებს.

მანანა ნოზაძე

◎ პარადოქსი

„ენა დედაა ერისა“ — როცა ენას დედა აღარ ჰყავს

ამ ბოლო დროს გააქტიურდა საუბრები (რომ არა ვთქვათ, ჭორები)„ენის სახელმწიფო დეპარტამენტის“ მომავალი თავმჯდომარის შესარჩევ კანდიდატურებთან დაკავშირებით. საყურადღებოა, რომ საკმაოდ ბევრ კანდიდატურას ასახელებენ. ზოგს სამეცნიერო წრეებში ასე თუ ისე ცნობილსა და ზოგსაც, სრულიად უცნობს. იმასაც კი ამბობენ, რომ, თითქოს, არჩევანი გაკეთდება არასპეციალისტზე, არალინგვისტზე, მაგრამ უნარიან მენეჯერზე, რომელიც დეპარტამენტში უხელმძღვანელებს პროფესიონალ ლინგვისტთა საქმიანობას, მაგრამ, ცოტა არ იყოს, საკვირველია, რომ ამ კონტექსტში არ განიხილება (ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც) ამ სახელმწიფო სამსახურის კონცეფციის ავტორის, მისი შემქმნელისა და პირველი თავმჯდომარის ლევან ღვინჯილიას კანდიდატურა, კაცისა, რომლის მთელი 40-წლიანი მოღვაწეობა უკავშირდება სახელმწიფო ენის სიწმინდისა და კონსტიტუციური სტატუსის დაცვის უმნიშვნელოვანეს საქმეს და რომელიც უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში უმუშევრად ყოფნის შემდეგ, როგორც იქნა, დაინიშნა„აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

როგორც ჩანს, იფიქრეს და გადაწყვიტეს: ამ ანსამბლს ახლა ქართულ ენაზე უფრო მეტად უჭირსო. ერთი სიტყვით, „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასო“ — ისეა ამათი და, ჩვენი საქმეც.

არადა, საგანგებოდ მინდა გავიხსენო. საქმის ცოდნასთან ერთად, მისი პრინციპული და კატეგორიული ხასიათი იყო ის მთავარი მიზეზი, რისთვისაც ოთხმოციან წლებში ლევან ღვინჯილიას ტელევიზიის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ გადაცემის „ენა დედაა ერისა“ ავტორობა მიანდო. დღეს ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობაა (სიტყვა კატასტროფული უფრო მოუხდებოდა) და თუ რამეს სჭირდება დაცვა, ეს ჩვენი მშობლიური ენაა. გასაგებია, რომ „ენის სახელმწიფო დეპარტამენტის“ შექმნის იდეაც აქედან მოდის, მაგრამ თუ ეს სტრუქტურა ისეთივე (სხვისი ხელის და თვალებში შემყურე) პრინციპულობით იმუშავებს, დღეს რომ ჩვენს ომბუდსმენ-დამცველებს აქვთ, კიდევ ერთი უფუნქციო დაწესებულება შეგვრჩება ხელში. მით უფრო, რომ ამ დეპარტამენტის ფუნქცია მხოლოდ ქართულ ენაზე ზრუნვა არ არის.

ჩვენი დღევანდელი რეალობის შემყურეს, როცა საქართველოში ქართველისა და ქართულის გარდა, ყველას და ყველაფერს იცავენ, ისე, ცოტათი კი უნდა გვეშინოდეს, — ერთიც ვნახოთ და ნანუ-აშვილისნაირი „აქტიური ქართველი“ და „უნარიანი მენეჯერი“ ჩაუყენეს ამ საქმეს სათავეში...

ბუნებრივია, ლევან ღვინჯილიას დეპარტამენტის ხელმძღვანლად დანიშვნას მე და ჩემნაირებს არავინ შეგვეკითხება და შეგვითანხმებს, მაგრამ... ჩვენს დროში ამ ადამიანზე მეტად ამ საქმისათვის სხვა ასე არავინ „დახარჯულა“ და ვფიქრობთ, იმის ღირსი ნამდვილად არის, გაგვახსენდეს მაინც, რომ იგი მომზადებული დოკუმენტისა და სტრუქტურის ავტორია.

ამ ამბებთან დაკავშირებით ერთმა დიდად ნიჭიერმა და ღვაწლმოსილმა კაცმა ენამოსწრებულად იხუმრა: „ეს იმას ჰგავს, საქართველოში გახსნან „რენტგენის კაბინეტი“ და მის ხელმძღვანელად დანიშნონ კარდანი ან დიზელი, მაშინ როცა აქვე, ამავე ქალაქში ცხოვრობს და შესანიშნავ „ინტელექტუალურ ფორმაშია“ (ფიზიკურადაც) თვით ბატონი რენტგენი!.. (ძნელია, არ გაგახსენდეს ცნობილი ქართველი პოეტის სიტყვები: „ვინა შრომობდა და ვინა სძღება, ღმერთო, სად არის აქ სამართალი?“).

თურმე, როცა პარიზში ზარ-ზეიმით აღნიშნავდნენ სინემატოგრაფის ოცი წლისთავს, ზედაც არავის შეუხედავს დარბაზში მჯდომი იმ ღარიბულად ჩაცმული მოხუცისთვის, რომელიც ზეიმზე საკუთარი ინიციატივით მივიდა და რომელსაც კინოს გამომგონებელი ლუი ჟან ლუმიერი ერქვა. როგორც ამბობენ, მერე კი შერცხვათ ორგანიზატორებს, მაგრამ ისტორიას მაინც ეს სამარცხვინო და უხერხული ფაქტი შემორჩა და არა ლუმიერის წინაშე მოხდილი ბოდიში...

მერაბ ხაჩიძე

◎ დედაქალაქი

„თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრის“ მუნიციპალური პროგრამა ამოქმედდა

თბილისის მერი დავით ნარმანია „თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრის“ მუნიციპალური პროგრამის პრეზენტაციას დაესწრო — სახელწოდებით „შემომყვანი ტურიზმის დარგის განვითარება“.

მერიის ცნობით, ეს პროგრამა თბილისის საკრებულომ მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს დაამტკიცა. პროგრამის მიზანია თბილისში რეგისტრირებული და მოქმედი ტურისტული კომპანიების და დარგში შემავალი სხვა სუბიექტების გაძლიერება, მათი სიმძლავრეების, დატვირთულობის, უნარების, შემოსავლების, ეფექტიანობისა და მდგრადობის ზრდის ხელშეწყობა, ასევე, თბილისის, როგორც ტურიზმისათვის მიმზიდველი დანიშნულების ადგილის პოზიციონირება, პოპულარიზაცია საზღვარგარეთის ბაზრებზე და დედაქალაქში ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მხარდაჭერა.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო და ნატო: სად მივყავართ გაძლიერებულ თანამშრომლობას

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოსთან დაკავშირებით კონსენსუსი არ არის

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში არ არის კონსენსუსი საქართველოსთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, ნატოს ზოგიერთ წევრ ქვეყანას ეშინია, რომ ჩერნოგორიის მიწვევამ, შეუერთდეს ალიანსს, რომელსაც, როგორც ელოდებიან, გაახმაურებენ მომდევნო კვირას, შეიძლება საქართველოს მისცეს არასწორი სიგნალი. ამის შესახებ წერდნენ დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ნატოში ანონიმურ წყაროზე მითითებით.

კერძოდ, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ალიანსში წევრობის მოწინააღმდეგეები ძველებურად არიან გერმანია და საფრანგეთი, რომლებსაც ეშინიათ ნეგატიური რეაქციისა რუსეთის მხრიდან. შეგახსენებთ, რომ მოსკოვს არაერთგზის გაკითხი საქართველოს მიწვევის შესახებ მოქმედების გეგმის რეალიზაციაში ნატოში წევრობასთან დაკავშირებით.

მიუხედავად ამისა, საქართველომ მაინც ვერ მიიღო მაპი უელსის სამიტზე 2014 წლის სექტემბერში, მაგრამ მის ნაცვლად ალიანსმა შესთავაზა თბილისს დაახლოების სხვა ფორმატი – გაძლიერებული თანამშრომლობის ზომების პაკეტი, რომელიც, ნატოს ლიდერების თანახმად, დაეხმარება ქვეყანას „წაიწიოს წინ ალიანსში წევრობისათვის მზადებაში“. ახალი პაკეტის თანახმად, თანამშრომლობის ერთ-ერთი პრიორიტეტული ასპექტია ნატოს სწავლების მოწყობა საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე, აგვისტოში საქართველოში გაიხსნა ნატოს სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი. იგი გათვალისწინებულია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნების, პარტნიორი ქვეყნების და ქართველი სამხედროების ერთობლივი სწავლებისათვის.

საქართველოს მმართველი კოალიციის წარმომადგენლები არაერთგზის აცხადებდნენ, რომ, თუ საქართველოს გაისადაც უარს ეტყვიან მაპის მიღებაზე, საქართველოსთვის ძნელი იქნება, წარუდგინოს ქვეყნის მოსახლეობას, როგორც „წარმატებული“ პროცესი, დასავლელ სტრუქტურებთან დაახლოების საქმე და რომ შედეგად შეიძლება შემცირდეს პროდასავლური საგარეო-პოლიტიკური კურსის მხარდაჭერა საქართველოს მოსახლეობის მხრიდან.

ექსპერტების აზრი

გიორგი მჭედლიშვილი საქართველოს უნივერსიტეტიდან მიიჩნევს, რომ საქართველოს მოქალაქეებმა ჯერჯერობით არ უნდა იქონიონ განსაკუთრებული ოპტიმიზმი იმასთან დაკავშირებით, რომ ჩერნოგორიას ღებულობენ ნატოში.

ნუცხადებია, არ დაუშვებს ნატოს გაფართოებას აღმოსავლეთისკენ, რომ „ამას ექნება კატასტროფული შედეგები“.

ანალოგიური განცხადება გააკეთა წინა კვირაში საქართველოში მყოფმა ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედგარს რინკევიჩსმა.

„უნდა იცოდეთ, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყველა წევრი არ იქნება თანახმა წინადადებისა, რომ საქართველო გახდეს ნატოს წევრი ერთი, ორი ან სამი წლის შემდეგ. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ დღემდე ვერ მივაღწიეთ კონსენსუსს“, – განაცხადა რინკევიჩსმა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იმედი აქვს, მიიღოს მაპი ნატოს შემდეგ სამიტზე, რომელიც ვარშავაში გაიმართება. მაპი – ესაა ოფიციალური პროგრამა ალიანსში ახალი წევრების მიღების შესახებ. ამ პროგრამაში მონაწილეობა მიზნად ისახავს, დაეხმაროს ქვეყანას, მოემზადოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლისათვის, თუმცა ამის გარანტიას იგი არ იძლევა.

წინა ისტორია

შეგახსენებთ, რომ ნატოს სამიტზე ბუქარესტში 2008 წლის აპრილში საქართველოს უარი ეთქვა მაპის მინიჭებაზე. მიუხედავად ამისა, ნატოს ლიდერებმა დაარწმუნეს საქართველო, რომ მომავალში ქვეყანა აუცილებლად გახდება ჩრდილოანტლანტიკური ალიანსის წევრი. რუსეთთან 2008 წლის აგვისტოში ომის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა, რომელსაც მაშინ საქართველოს პრეზიდენტის პოსტი ეკავა, ბუქარესტში მიღებულ გადაწყვეტილებას „სტრატეგიული შეცდომა“ უწოდა.

დაპირება, რომ ნატოს კარები საქართველოსთვის ძველებურად ღიაა, შევიდა ნატოს ლისაბონის 2010 წლის შემაჯამებელ დეკლარაციაში, აგრეთვე ალიანსის ჩიკაგოს სამიტის დეკლარაციაში, რომელიც 2012 წლის მაისში გაიმართა. 2012 წლის ნოემბერში პრაღაში მიღებულ რეზოლუციაში ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე არის მოწოდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნებისადმი – განიხილონ

ექსპერტის სიტყვებით, ჩერნოგორიის ნატოსთან ურთიერთობის კონტექსტი „სრულიად სხვაგვარია და, მართალია, ამ შემთხვევაში, როგორც მჭედლიშვილი ამბობს, არის სერბიის ფაქტორი“, რომელსაც ჩერნოგორია გამოეყო 2006 წლის რეფერენდუმის შედეგად, მიუხედავად ამისა, პოლიტოლოგის აზრით, დღეს სერბია, რუსეთისგან განსხვავებით, არ წარმოადგენს იმ ძალას, რომლის მიმართაც დასავლეთის ქვეყნები იჩენენ სიფრთხილეს“.

„ევროპული უშიშროების თვალსაზრისით, დღეს საქართველო იმყოფება უფრო კრიტიკულ და მნიშვნელოვან ზონაში, და პოლიტიკური თვალსაზრისით სავსებით რაციონალური იქნებოდა, მიეღოთ საქართველო ნატოში დაჩქარებულ რეჟიმში, მაპის ეტაპის გარეშე. თუმცა ასეთი სახის კონსენსუსს უახლოეს პერიოდში არ უნდა ველოდოთ“, – განაცხადა გიორგი მჭედლიშვილმა ჩვენთან ინტერვიუში.

პოლიტიკურ ექსპერტს ზაალ ანჯაფარიძეს ასევე ეჭვი ეპარება, რომ საქართველოს მიანიჭებენ მაპს ნატოს შემდეგ სამიტზე. როგორც მან ამერიკის ხმის რუსულ სამსახურთან საუბარში აღნიშნა, მიზეზი საგარეო-პოლიტიკური ხასიათის რამდენიმე ფაქტორშია, მათ შორის არის რუსეთის ფაქტორიც, აგრეთვე ფაქტორები, რომლებსაც უკარნახებს საერთაშორისო კონიუნქტურა.

„სკეპტიკოსები ნატოში მიიჩნევენ, რომ ამ ეტაპზე საქართველოსთვის მაპის მინიჭება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს უფრო მეტ პრობლემასა და თავის ტკივილს მოუტანს, ვიდრე სტრატეგიულ მოგებას“, – მიაჩნია ექსპერტს.

ამავე დროს, ანჯაფარიძის თქმით, ნატოში ესმით, რომ „საქართველოს ალიანსის კართან დატოვება“ დიდი ხნით რისკთან არის დაკავშირებული. ამიტომ ამბობს ექსპერტი, მაპზე უარის თქმა რაიმეთი იქნება კომპენსირებული. კერძოდ, ის არ გამორიცხავს, რომ საქართველოს მიერ უელსის სამიტზე მიღებული „გაძლიერებული თანამშრომლობის“ ახალი პაკეტი ალიანსის ვარშავის სამიტზე შეივსება ახალი შინაარსით.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ობამამ პატივი მიაგო პარიზის თეატრ „ბატაკლანში“ ტერორისტული აქტების მსხვერპლთ

ამერიკელ ლიდერს, რომელიც საფრანგეთის დედაქალაქში ჩავიდა გაეროს კლიმატის კონფერენციასთან დაკავშირებით, ტერორისტული აქტის ადგილის დათვალიერების დროს თან ახლდნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი და პარიზის მერი ან იდალგო. ობამამ დადო ერთი თეთრი ყვავილი, რის შემდეგაც დახარა თავი და მდუმარედ იდგა. უმზერდა ყვავილებსა და სანთლებს, რომლებიც ხალხმა მოიტანა ტერორისტების შეტევის ადგილზე.

გვატემალაში ავტომატური იარაღით შეიარაღებულმა პატიმრებმა დაიწყეს ბუნტი და აიყვანეს მძევლები: არიან დაღუპულები

ციხე, რომელიც დაახლოებით 65 კილომეტრზეა რესპუბლიკის დედაქალაქის სამხრეთით, გათვალისწინებულია 600 პატიმარზე, მაგრამ მასში ამჟამად 3092 კაცია. ამ მიზეზით პოლიციელებს, რომელთა რიცხვიც ამ სექტორში „მხოლოდ 200“-ია, ჯერჯერობით არ შეუძლიათ შევიდნენ გამასწორებელ დაწესებულებაში, რათა აღადგინონ იქ წესრიგი.

კოლუმბიაში გვალვამ ქალაქში მშიერი ბეჰემოთები მორეკა, რომლებიც გამრავლდნენ გარდაცვლილი ნარკობარონის წყალობით

ცხოველები გაჩნდნენ ქალაქ პუერტო-ტრიუმფოში, ქვეყნის ჩრდილოეთში. ისინი არიან ჰიპოპოტამების მემკვიდრეები, რომლებიც ქვეყანაში პაბლო ესკობარომ ჩამოიყვანა, რომელიც ფლობდა კერძო ზოოპარკს ქალაქის გარეუბანში. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაინახეს წყვილი ბეჰემოთი, რომლებიც ძოვდნენ ბალახს მინდორში და დაეხეტებოდნენ ქალაქში საკვებისა და თავშესაფრის საძებნელად.

ისრაელმა გაუწია კონტაქტები ევროკავშირთან პალესტინის სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებით

ისრაელის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გადასინჯოს ევროკავშირის წარმომადგენელთა ჩაბმის ხარისხი პალესტინასთან კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში. ეს დაკავშირებულია ევროპელი ჩინოვნიკების ამასწინანდელ დირექტივასთან ისრაელის საქონლის მარკირების შესახებ, რომელიც იწარმოება „ოკუპირებულ“ ტერიტორიებზე.

ერდოღანი მზადაა, შეხვდეს პუტინს „უახლოეს პერიოდში“

ამის შესახებ თქვა თურქეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევთან სატელეფონო საუბარში. საუბარი გაიმართა თურქეთის მხარის ინიციატივით. ყაზახეთის პრეზიდენტმა შეშფოთება გამოთქვა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობათა გაუარესების გამო და მოუწოდა, შექმნან ორმხრივი კომისია სიტუაციის მოსაწესრიგებლად.

თურქეთის ტურიზმის მინისტრმა მიიწვია რუსეთელები, დაისვენონ თავის ქვეყანაში, რომელსაც რეგიონში „უსაფრთხოების კუნძული“ უწოდა

მახირ უნალის სიტყვებით, პოლიტიკა არ უნდა ერეოდეს ტურისტულ დარგში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთელებს ძველებურად ელოდებიან თურქეთში. თურქეთი – „თქვენი სახლია“, – განაცხადა მინისტრმა, როდესაც მიმართავდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს, და შეგვახსენა, რომ გადაადგილების თავისუფლება განეკუთვნება ადამიანის საბაზო უფლებებს.

მოწვევა ტენდერზე

საქართველო

„ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტი“

სესხი #8377-GE

ხელშეკრულების დასახელება: ანძების მოწოდება 220კვ ელექტროგადამცემი ხაზებისთვის „სათაფლია“ და „აჯამეთი“

ხელშეკრულების # IDA/TGSP/G/ICB/02-2015

1. საქართველოს მთავრობამ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისგან (IBRD) მიიღო სესხი „ელექტროგადაცემის ქსელის გაუმჯობესების პროექტის“ დასაფინანსებლად. სესხის ნაწილი მოხმარდება 220კვ გადამცემი ხაზებისთვის „სათაფლია“ და „აჯამეთი“ ანძების მოწოდების კონტრაქტით გათვალისწინებულ გადახდებს.

2. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე) („დამქირავებელი“) ტენდერში მონაწილეობაზე უფლებამოსილ კომპანიებს იწვევს 220კვ გადამცემი ხაზებისთვის „სათაფლია“ და „აჯამეთი“ ანძების მოწოდებასთან დაკავშირებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

3. ტენდერი განხორციელდება საერთაშორისო კონკურენტული ტენდერის (ICB) პროცედურების შესაბამისად, როგორც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის მსესხებლებისთვის გაცემული IBRD-ის და IDA-ს კრედიტების და გრანტების ფარგლებში საქონლის, სამუშაოებისა და არა-საკონსულტაციო მომსახურებების შესყიდვების შესახებ სახელმძღვანელო ინსტრუქციებით - იანვარი, 2011 წელი, განახლებული - ივლისი, 2014 წელი („შესყიდვების შესახებ სახელმძღვანელო ინსტრუქციები„), და მასზე დაიშვება ყველა მონაწილე, რომელიც უფლებამოსილია ტენდერში მონაწილეობაზე. გარდა ამისა, გთხოვთ იხელმძღვანელოთ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ მსოფლიო ბანკის წესების 1.6. და 1.7 პუნქტებით.

დამატებითი ინფორმაციის მიღება და სატენდერო დოკუმენტაციის ნახვა ტენდერის მონაწილეებს შეუძლიათ 10:00 სთ–დან 16:00 სთ–მდე (ადგილობრივი დროით), შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე)
ბარათაშვილის ქუჩა №.2, მე-3 სართული, ოთახი №304,
თბილისი 0105, საქართველო
საკონტაქტო პირი: ქ-ნი გურანდა მაჩაიძე, შესყიდვების სპეციალისტი
ტელ.: (995 32) 251 02 63
ელ-ფოსტა: guranda.machaidze@gse.com.ge

4. სატენდერო დოკუმენტაციის შესაძენად, ტენდერში მონაწილეობაზე უფლებამოსილმა მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ წერილობითი განაცხადი და გადაიხადონ 300 აშშ დოლარი სატენდერო დოკუმენტაციის თითო ეგზემპლარისთვის; აღნიშნული თანხა არ ექვემდებარება ანაზღაურებას. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად ტენდერის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული საფასურის (ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე) საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელი საბუთი (SWIFT) და წერილობითი/პირადი განაცხადი ზემოთ მითითებული პირის სახელზე. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს სათანადოდ დამოწმებული თანმხლები წერილი, რომელშიც გარკვევით იქნება განსაზღვრული კომპანიის სახელწოდება და ქვეყანა. მოთხოვნის შესაბამისად, დოკუმენტაცია დაუყოვნებლივ გაიგზავნება რეგისტრირებული ფოსტით, თუმცა მის დაკარგვასა ან დაგვიანებით გადაცემაზე დამქირავებელს არ ეკისრება არავითარი პასუხისმგებლობა. ტენდერის მონაწილეებს შეუძლიათ მოითხოვონ ელექტრონული ვერსიის გაგზავნა ელ-ფოსტის მისამართზე.

საბანკო ანგარიშები

ლარი	
მიმღების ბანკი	JSC Bank of Georgia
	Bank Code: BAGAGE22
მიმღები	Receiver: Georgian State Electrosystem JSC
	Receiver's account № GE56BG0000000283534100
აშშ დოლარი	
შუამავალი ბანკი	Citibank N.A., New York, USA
	SWIFT: CITIUS33
ბენეფიციარის ბანკი	Bank of Georgia; 3, Pushkin Str. 0105 Tbilisi, Georgia
	SWIFT: BAGAGE22
ბენეფიციარი	Beneficiary's name: Georgian State Electrosystem JSC
	Beneficiary's account №: GE56BG0000000283534100
ევრო	
შუამავალი ბანკი	Commerzbank, Frankfurt, Germany
	SWIFT: COBADEFF
ბენეფიციარის ბანკი	Bank of Georgia; 3, Pushkin Str. 0105 Tbilisi, Georgia
	SWIFT: BAGAGE22
ბენეფიციარი	Beneficiary's name: Georgian State Electrosystem JSC
	Beneficiary's account №: GE56BG0000000283534100

5. სატენდერო წინადადებები მოწოდებულ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2016 წლის 11 იანვრის 17:00 საათისა, ადგილობრივი დროით.** წინადადებები ელექტრონული ფორმატით არ მიიღება. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. წინადადებები საჯაროდ გაიხსნება **2016 წლის 11 იანვარს, 17:00 საათზე, ადგილობრივი დროით,** პრეტენდენტების მიერ განსაზღვრული წარმომადგენლებისა და ნებისმიერი პირის თანდასწრებით, რომელიც გადაწყვეტს ტენდერის გახსნაზე პირადად დასწრებას.

6. სატენდერო წინადადებას თან უნდა ერთვოდეს 80,000 (ოთხმოცი ათასი) აშშ დოლარის ღირებულების სატენდერო წინადადების გარანტია.

7. დამკვეთის მისამართი, რომელზეც წარმოდგენილ უნდა იქნეს სატენდერო წინადადებები:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
ადრესატი: ბ-ნი სულხან ზუმბურიძე
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/რეაბილიტაციის მმართველი
საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის ქ. №2, მე-4 სართული,
საკონფერენციო ოთახი №406
ტელ.: (995 32) 251 02 64
ფაქსი: (995 32) 298 37 04

(განცხადების ქართულ და ინგლისურ ვერსიებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ვერსიას).

Invitation for Bids

Georgia

Transmission Grid Strengthening Project

Loan No: 8377-GE

Contract Title: Supply of Hot galvanized towers for 220kV transmission Lines Sataplia &Adjameti

Reference No. IDA/TGSP/G/ICB/02-2015

1. Government of Georgia has received a loan from the World Bank towards the cost of the Transmission Grid Strengthening Project and intends to apply part of the proceeds to eligible payments under the contract for Supply of Hot galvanized towers for 220kV transmission Lines Sataplia & Adjameti.

2. JSC Georgia State Electrosystem (GSE) now invites sealed bids from eligible bidders for *Supply of Hot Galvanized Towers for 220kV Transmission Lines Sataplia & Adjameti.*

3. Bidding will be conducted through the International Competitive Bidding procedures as specified in the World Bank's *Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers, January 2011, revised July, 2014* ("Procurement Guidelines"), and is open to all eligible bidders as defined in the Procurement Guidelines. In addition, please refer to paragraphs 1.6 and 1.7 setting forth the World Bank's policy on conflict of interest.

4. Interested eligible bidders may obtain further information from and inspect the bidding documents at the office of the Employer between the office hours 10:00 to 16:00 (local time):

Georgian State Electrosystem JSC
2, Baratashvili Street, 3rd Floor, Room 304
Tbilisi 0105, Georgia
Ms. Guranda Machaidze, Procurement Specialist
Tel: (995 32) 251 02 64
Email: guranda.machaidze@gse.com.ge

5. A complete set of Bidding Documents may be purchased by interested bidders on the submission of a written application to the above address and upon payment of a non-refundable fee of US$300 per copy against presentation of evidence (SWIFT) of the effected bank transfer of the fee (payable to the account indicated below) with application in writing/in person to the address given above. The request must be accompanied by a duly authorized cover letter, clearly stating the name of the company and the country of domicile. Upon request, the documents will be promptly dispatched by a registered post, but no liability can be accepted for loss or later delivery. The bidders may request for an electronic version to be received by e-mail.

GEL	
BANK OF RECEIVER	JSC Bank of Georgia
	Bank Code: BAGAGE22
RECEIVER	Receiver: Georgian State Electrosystem JSC
	Receiver's account № GE56BG0000000283534100
USD	
INTERMEDIARY BANK	Citibank N.A., New York, USA
	SWIFT: CITIUS33
BENEFICIARY BANK	Bank of Georgia; 3, Pushkin Str. 0105 Tbilisi, Georgia
	SWIFT: BAGAGE22
BENEFICIARY	Beneficiary's name: Georgian State Electrosystem JSC
	Beneficiary's account №: GE56BG0000000283534100
EURO	
INTERMEDIARY BANK	Commerzbank, Frankfurt, Germany
	SWIFT: COBADEFF
BENEFICIARY BANK	Bank of Georgia; 3, Pushkin Str. 0105 Tbilisi, Georgia
	SWIFT: BAGAGE22
BENEFICIARY	Beneficiary's name: Georgian State Electrosystem JSC
	Beneficiary's account №: GE56BG0000000283534100

6. Bids must be delivered to the address below on or before January 11, 2016. Electronic bidding will not be permitted. Late bids will be rejected. Bids will be publicly opened in the presence of the bidders' designated representatives and anyone who choose to attend at the address below on January 11, 2016, 17:00 local time.

7. All bids must be accompanied by a Bid Security of USD 80,000 (Eighty Thousand United States Dollars).

8. The address referred to above is:

JSC Georgian State Electrosystem (GSE)
Attn: Sulkhan Zumburidze
The Chairman of Management Board/Rehabilitation Manager
Conference room no. 406, 4th floor
2 Baratashvili Str.
0105, Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 251 02 64
Fax: (995 32) 298 37 04

◎ ჭიდაობა

ხუთი მედალი „ოქროს ლიგიდან“



საძართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა გუნდებმა 3 ოქროს და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს ბაქოში გამართულ ჰეიდარ ალიევის სახელობის „ოქროს დიდი პრიზის“ ფინალურ ტურნირში.

თავისუფალ ჭიდაობაში ელიზბარ ოდიკაძემ (97 კგ) იაპონელ იუჯი ფუკუის 2:1 მოუგო, ნახევარფინალში უკრაინელთა ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის მესამე პრიზიორი პავლო ოლეინიკი დაამარცხა 2:0, ფინალში კი აზერბაიჯანელთა ოლიმპიურ ჩემპიონ შარიფ შარიფოვს აჯობა 4:2 და ტიტულთან ერთად 10.000 დოლარიც მიიღო. მსგავს წარმატებას მიაღწია გენო პეტრიაშვილმა, ოღონდ უფრო იოლად: ამერიკელი ტომ ბრედლის ძლევის (4:3) შემდეგ ქართველ ფალავანს ყირგიზი აიაალ ლაზარევი და მასპინძელთა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ჯამალედდინ მაგომედოვი არ გამოუცხადდნენ და იგი უბრძოლველად ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ოთარ გოგავა (57) და სანდრო ამინაშვილი (81) „ბრინჯაოს“ დასჯერდნენ.

„კლასიკურში“ ქართველთაგან ბაქოში მხოლოდ მსოფლიოს პრიზიორმა ლაშა გობაძემ (80) იჭიდავა და ისიც პირველი იყო. მან ოთხიდან სამ აზერბაიჯანელ მეტოქეს სძლია – ლონდონის ოლიმპიადის მესამე პრიზიორ ემინ ახმედოვს, ევროპული თამაშების გამარჯვებულს, მსოფლიოს ჩემპიონატის შარშანდელ ბრინჯაოს პრიზიორ ელვინ მურსალიევსა და ევროპის 2011 წლის ჩემპიონს, წლევანდელი ევროპული თამაშების ფინალისტ რაფიკ ჰუსეინოვს, მეოთხე ორთაბრძოლა კი თურქ დოგან გოქთაშს მოუგო.

საგულისხმოა, რომ აზერბაიჯანის დედაქალაქში რუსეთის სახელით მოჭიდავე დავით ჩაკვეტაძეც (85) და აზერბაიჯანში გადასული შალვა გადაბაძეც (98) პირველ ადგილებზე გავიდნენ.

ლექსო ციწცაძე

◎ ტაბლო

ფეხბურთი

ეროვნული ჩემპიონატი: XIII ტური. „გურია“ – „დინამო“ 0:2, „საბურთალო“ – „დილა“ 1:3, „სიონი“ – „ჩიხურა“ 4:0, „ლოკომოტივი“ – „ბათუმი“ 1:1, „სამტრედია“ – „კოლხეთი“ 1:0, „საპოვნელა“ – „ტორპედო“ 1:5, „შუქურა“ – „ცხინვალი“ 2:2, „მერანი“ – „ზუგდიდი“ 0:0.

ლიდერთა ჯგუფი. „დინამო“ – 34, „დილა“ – 31, „სიონი“ – 29 ქულა.

6 დეკემბერს ითამაშებენ: „დინამო“ – „სიონი“.

კალათბურთი

ვითიბის გაერთიანებული ლიგა. IX ტური. „ვითა“ – ვეფ (რიგა) 69:99. ეს თბილისელთა ზედიზედ მეცხრე წაგებაა.

სუპერლიგა. „ბათუმი“ – „სოხუმი“ 90:78, „ქუთაისი“ – „დინამო“ 75:64, „ოლიმპი“ – „რუსთავი“ 78:73, „არმია-მგზავრები“ – „აკადემია“ 77:68.

გიორგი ზოთაძე

◎ ძალოსნობა

ტალახაძის ორი „ვერცხლი“ და ერთი „ბრინჯაო“

ამერიკულ ჰიუსტონში გამართულ ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატში მძიმეწონოსანთა (+105 კგ) შორის შესანიშნავად იასპარეზა საჩხერელმა ლაშა ტალახაძემ, რომელმაც სამი მედალი მოიპოვა: ორჭიდში 454 კილოგრამით მან დიდი ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ჩემპიონობა მსოფლიოს რეკორდით – 475 კილოთი რუსმა ალექსეი ლოვჩევმა არავის დაუთმო. 438 კილოთი მესამე იყო ესტონელი მარტ სეიმი.

ლაშა ტალახაძემ ცალკეულ მოძრაობებშიც ისახელა თავი: მან 207 კილოგრამი აიტაცა და მცირე ვერცხლის მედალი ერგო. ლოვჩევი აქაც პირველი იყო 211 კილოგრამით. 203 კილოგრამით მესამე ადგილზე სომეხი გორ მინასიანი გავიდა, რომელმაც ატაცში ბრინჯაოს მედალი 2015 წლის ევროპის ჩემპიონ ირაკლი თურმანიძეს აართვა. ქართველმა ათლეტმა 202-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა, რაც საბოლოოდ მე-4 შედეგი აღმოჩნდა. ორჭიდში თურმანიძემ 422 კილოგრმით (202+220) მე-12 ადგილი დაიკავა. აკვრაში ტალახაძე 247 კილოთი მესამე იყო. მას კილოგრამით აჯობა ბალტიისპირელმა სეიმმა. მცირე „ოქროს“ აქაც ლოვჩევი დაეუფლა, თანაც მსოფლიო რეკორდით – 264 კილოგრამი.

105 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს 2 ძალოსანი გამოდიოდა. 18 წლის გიორგი ჩხეიძემ 375 კილოგრამით მე-17 ადგილი დაიკავა. ამდენივე წონა დაძლიეს რიუნოსიკუ მაჩიდამ (იაპონია) და რობი ბეჰმიმ (გერმანია), მაგრამ ქართველი მეტოქეებზე მძიმე აღმოჩნდა. ამავე წონაში გია მაჭავარიანი 355 (160+195) კილოგრამით 25-ე იყო.

ევროპის ექს-ჩემპიონი რაულ ცირეკიძე 94 კილოში ცდიდა ძალებს. მან 160 კილო აიტაცა, 196 კილო აკრა და 356 კილოთი მე-20 ადგილი დაიკავა, რითაც ჩხეიძისა და მაჭავარიანის მსგავსად საქართველოს ნაკრებს სალიცენზიო ქულები მოუტანა. საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა 174 ქულით 21-ე ადგილი დაიკავა., პირველი-მესამე ადგილები კი რუსეთმა (555), ბელარუსმა (418) და ყაზახეთმა (405) გაინაწილეს.

ლაშა დიდია

◎ პრივი

ევროპული მედლები ჩვენც გვერგო

პოლონურ კოლობრჟეგში დამთავრდა 18-წლამდელ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი – ბეჟან სიჭინავა) შვიდი სპორტსმენით მონაწილეობდა. საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდნენ ნოდარ დარბაიძე (49 კგ, ჭიათურა), გაგიკ პოზოიანი (56, ახალქალაქი), ჭაბუკებში ევროპის პირველობის პრიზიორი უჩა მაისურაძე (60, რუსთავი), ესკერხან მადიევი (64, თბილისი), ჭაბუკებში ევროპის პირველობის პრიზიორი გიორგი ხარაბაძე (69, ქუთაისი), რატი ტლაშაძე (75, გორი) და ნიკოლოზ ბეგაძე (91, რუსთავი). მათგან განსაკუთრებით ბეგაძემ იყო ჩაღა: პირველ წრეში მან ბულგარელი იველინ ალექსანდროვი დაამარცხა, შემდეგ უნგრელები არტურ კოშე და იონ მარინი დაჯაბნა, ნახევარფინალში ავსტრიელ ალექსანდრ მრაოვიჩს აჯობა, გადამწყვეტ შეხვედრაში კი უკრაინელ მარტონ რობერტს მოუგო და ოქროს მედალი დაიმსახურა.

მეოთხედფინალში ოთხი ჩვენებური იბრძოდა. გიორგი ხარაბაძე რუსეთელ ბიბერტ ტუმენოვთან დამარცხდა, გაგიკ პოზოიანმა შანდორ ტარის (უნგრეთი) სძლია, ესკერხან მადიევმაც უნგრელი მეტოქე – მარკ კონტრეში ჩამოიშორა გზიდან. ნახევარფინალში გაგიკ პოზოიანი (56 კგ) და თბილისელი ესკერხან მადიევი (64), შესაბამისად, არსლან ხატაევსა (ფინეთი) და კონსტანტინ მიშეჩკინს (რუსეთი) დანებდნენ და ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

ევროპის პირველობაზე 10 წონითი კატეგორიიდან სამ წონაში ოქროს მედლები რუსებმა დაისაკუთრეს, ორი ოქრო გერმანელებს, ხოლო თითო-თითო საქართველოს, აზერბაიჯანს, ინგლისს, იტალიასა და ირლანდიას ერგოთ.

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

ბრიტანეთის სახელით

ამ დღეს გაერთიანებული სამეფო 79(I) წელი ელოდა. დიახ, უკვე შორეული 1936 წლით თარიღდებოდა ბრიტანელთა უკანასკნელი ტრიუმფი დევისის თასის გათამაშებაში.

და აი, სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობის ისტორია ენდი მარეის თაობამ გადაწერა – ჩოგბურთის სამშობლო მეათე ტიტულის მოპოვებას ზეიმობს.

სწორედ შოტლანდიელის სახელს უკავშირდება მის თანამემამულეთა აღნიშნული ძლევაი საკვირველი: მსოფლიოს მე-2 ჩოგანმა მთელი ტურნირის განმავლობაში გამართული თერთმეტივე შეხვედრა მოიგო – 8 ერთეულთა თანრიგში და 3 – წყვილებში, მათ შორის ფინალში ბელგიელებთან – ბემელმანსთან და გოფინთან, აგრეთვე თავის ძმასთან ჯეიმისთან ერთად გოფინ – დარსისის დუეტთან, რომელსაც გენტმა უმასპინძლა.

ასე რომ, 28 წლის კუნძულელის ისედაც შთამბეჭდავი კოლექცია (უიმბლდონის, ავსტრალიის ღია პირველობისა და ლონდონის ოლიმპიადის უმაღლესი ჯილდოები) კიდევ უფრო გამდიდრდა.

კოგა კოგახიძე

◎ ფარიკაობა

ერთი მარცხი და მეხუთე ადგილი

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 94 მოფარიკავე იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის მიუნხენში, რომელმაც 23-წლამდელ მოხმალავეთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. მოასპარეზეთა შორის იყო ქუთაისელი სანდრო ბაზაძე. ჯგუფში მან ექვს მეტოქეს სძლია: მასპინძლებს – დომენიკ კოჩს (5:3), ანდრეას ფალბის (5:3), ლეონ კრაუსს (5:0), იტალიელ ფრანჩესკო კარნევალოს (5:0), სლოვაკ დანილ ბუბკოს (5:1), რუს მიხაილ გორსკის (5:3), შემდეგ პლეი ოფში: გეორგე იანკუ (რუმინეთი) – 15:12, ალექსანდრ დიუბუა (საფრანგეთი) – 15:7, არტიომ ბუჩკოვი (რუსეთი) – 15:9, ალინ ბადია (რუმინეთი)-15:9 დაჯაბნა და მხოლოდ მეოთხედფინალში დამარცხდა უნგრელ ოლიმპიურ ჩემპიონ არონ ზილაგთან – 14:15. ბაზაძემ საბოლოოდ მე-5 ადგილი დაიკავა, ხოლო ზილაგმა მთავარი პრიზი მოიპოვა.

თამაზ პატარაია

◎ ბატუტზე ხტომა

რიოში გოლოვინაც წავა

ძართულ სპორტში ნელ-ნელა მატულობს რიოს 2016 წლის ოლიმპიადაზე წამსვლელთა რიცხვი. გასულ უქმეებზე მათს რიგებს ბატუტზე ხტომაში ოლიმპიური თამაშების ორგზის მონაწილე ლუბა გოლოვინა შეემატა. ოდენსეში (დანია) გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მან საკვალიფიკაციო ეტაპი შესანიშნავად განვლო – 24 საუკეთესოს შორის მოხვდა, მერე კი ფინალში გამოსვლის უფლება და რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა. გადამწყვეტ ეტაპზე 48.595 ქულით ლუბა მე-8 ადგილს დასჯერდა. კვარცხლბეკზე ავიდნენ: 1. დან ლი (ჩინეთი, 56.600), 2. ლინლინ ლიუ (ჩინეთი, 55.755), 3. ტატსიანა პიატრენია (ბელარუსი, 55 665).

მაია წულაძე

◎ ენა ჩვენი, ქართული

დანაყოფი თუ ქვედანაყოფი?

„საქართველოს რამდენიმე ბრძოლისუნარიანი **დანაყოფი (ხაზგასმა აქ და სხვაგან ჩვენია. — ავტ.)** ჰყავს... არსებობს რამდენიმე კარგად მომზადებული სპეციალური დანიშნულების **დანაყოფი**, რომელთაც ლოკალური, ტაქტიკური ამოცანების ხარისხიანად გადაწყვეტა შეუძლიათ“. ამ ხარისხიანად შედგენილ წინადადებას ერთი ხინჯი აქვს: არ შეიძლება ბრძოლისუნარიანი იყოს **დანაყოფი**, რადგან იგი წმინდა ტექნიკური ტერმინია და სულ სხვა რამეს გამოხატავს. ეს რომ ასეა, ამას გვიდასტურებენ:

ქეგლ: დანაყოფი — მანძილი ორ ხაზს შორის გასაზომ სკალაზე. თერმომეტრის დანაყოფები;

„ტექნიკური ტერმინოლოგია“: დუიმური, მილიმეტრული, ნულოვანი, პოლუსის, გრადუსული დანაყოფები;

„რუსულ-ქართული ლ-ნი“: деление — 2. დანაყოფი, ხაზი, ჭდე (სკალისა)...

აქ რომ ავტორს ეხმარა **ქვედანაყოფი** (**ქვეგანაყოფი**), მას მხარს დაუჭერდნენ ქეგლ (ქვეგანაყოფი — სამხედრო ერთეული, რომელიც შედის უფრო მსხვილი სამხედრო ნაწილის შემადგენლობაში. მსროლელთა, მეკავშირეთა ქვეგანაყოფები); „რუსულ-ქართული ლ-ნი“ (подразделение...2. ქვედანაყოფი: п-я вида სახეობის ქვედანაყოფები; смр. подразделение სამხ. მსროლელთა ქვედანაყოფი); სამრეწველო საწარმოს ორგანიზაციისა და დაგეგმვის ტერმინოლოგია“ (ქვედანაყოფი საწარმოსი подразделение предприятия); „სამხედრო ტერმინოლოგია“ (ქვედანაყოფი — подразделение) და სხვ.

მაშასადამე, როცა საქმე სტრუქტურულ (სამხედრო თუ სამოქალაქო) ერთეულებს ეხება, უნდა ვიხმაროთ **ქვედანაყოფი** ან **ქვეგანაყოფი** (ეს უკანასკნელი უფრო ნაკლებპროდუქტიული ჩანს), **დანაყოფი** კი ტექნიკას დავანებოთ.

ერთი მაგალითი ბოლოსთვის მოვიტოვეთ, რათა გაგვეგო ხიდი მხოლოობითის უაზრო გამრავლობითების მტკივნეულ საკითხზე გადასასვლელად, რომელსაც მერე უფრო წვრილად განვიხილავთ. აი მისი დამახასიათებელი მაგალითიც: „მაგრამ იგი სიტყვიერი ბრძანებებით... დანაყოფების ოპერატიულ მართვაზე გადავიდა... შეიარაღებული ძალების სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებს შორის უფლება-მოვალეობების **(პასუხისმგებლობების)** განაწილების სქემა მოიშალა... ქართული დანაყოფები გამუდმებით იბომბებოდნენ“.

ოთარ კაპანაძე

◎ ტურიზმი

ახალი ინფრასტრუქტურა - ახალ შუამთაში, ძველ შუამთასა და იყალთოში

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ კახეთში, რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები მოინახულა. ძველ შუამთაში, ახალ შუამთასა და იყალთოში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ასორციელებს და მისი ღირებულება 1 მლნ. 637 ათასი ლარია.

პროექტის მიზანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნებასა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში წვლილის შეტანაა. რებილიტაციის ფარგლებში, კულტურული მემკვიდრეობის სამივე ძეგლთან გათვალისწინებულია საინფორმაციო ცენტრების, სუვენირების მაღაზიების, სანიტარიული წერტილებისა და ობიექტებამდე მისასვლელი გზის მოწყობა. ასევე, ძველ შუამთაში და ახალ შუამთაში მოეწყობა ჭაბურღილი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს 200 მეტრის სიღრმის ჭაბურღილისა და მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. პროექტზე 20-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული და მათი უმეტესობა ადგილობრივია.



სულთათანა

ვაჟა ჩიხლაძე

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ინჟინერი, თბოაირმომარაგების, ვენტილაციის და ჰაერის კონდიცირების დარგის წამყვანი სპეციალისტი, პროფესორი **ვაჟა ჩიხლაძე**.

დაიბადა 1937 წელს თბილისში. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის საინჟინრო სამშენებლო ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და შემდგომ ტექნიკურ უნივერსიტეტში მან წარმატებით გაიარა გზა ასისტენტიდან პროფესორამდე, იყო ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის ფაკულტეტის დეკანი, თბოაირმომარაგებისა და ვენტილაციის კათედრის გამგე. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველ ინჟინერთა თაობების აღზრდაში, საინჟინრო მეცნიერების განვითარებაში. 1990-2004 წლებში მონაწილეობდა გაეროს და TASIS-ის საერთაშორისო პროექტების დამუშავებაში. 2006 წლიდან მუშაობდა „ქართუ ჯგუფის“ მთავარ სპეციალისტად.

მისი ხელმძღვანელობით შესრულდა ეროვნული ბიბლიოთეკის, გრიბოედოვის სახელობის თეატრის, ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის და ქვეყნის რიგი მსხვილი საწარმოს გათბობის, ვენტილაციის და ჰაერის კონდიცირების პროექტები. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 2 სახელმძღვანელო და 6 გამოგონება. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია მრავალი სამაგისტრო ნაშრომი და საკანდიდატო დისერტაცია.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი

◎ გაითვალისწინეთ!

აქტიური პროცესები დეკემბერში

დეკემბერში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 3-7, 10-13, 17-25, 31 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის ავარიულობის ზრდა, დაძაბულობა სოციუმში და სეისმოაქტივობის გაძლიერება.

3 — მთვარის უკანასკნელი მეოთხედი. მიმავალი მთვარის გამო ნელდება ყველა პროცესი ორგანიზმში. სუსტდება იმუნიტეტი, ტონუსი, საკვებს უფრო ცუდად ვითვისებთ — სურვილის შემთხვევაში უფრო იოლია ამ დროს რომ გავხდეთ. მეტად საალბათოა, რომ ძნელი იქნება შევასრულოთ ისეთი სამუშაოები, რომლებიც მოითხოვენ დიდ გონებრივ და ფიზიკურ დანახარჯებს. შესაძლებელია ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება.

4 — მთვარის შეერთება იუპიტერთან ძალწულში. შესაძლებელია შრომის პირობებით, ცხოვრების წესით უკმაყოფილება. მღელვარებისა და გადაღლილობის გამო საალბათოა მუცლის ღრუს ორგანოების დაავადებათა გამწვავება. სასურველია დავიცვათ დიეტა. შევზღუდოთ ტკბილეულის მიღება, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე.

6 — მთვარის შეერთება მარსთან ძალწულში. შეიძლება შეგვაწუხოს თავის ტკივილმა, კუჭ-ნაწლავთან ტრაქტის დაავადებებმა. არ არის გამორიცხული ინფექციური და ანთებითი დაავადებანი მწვავე ფორმაში და მაღალი ტემპერატურით. სასარგებლოა ფიზიკური ვარჯიშები და გასეირნება. გადაღლილობა ცუდად აისახება ჯანმრთელობაზე.

7 — მთვარის შეერთება ვენერასთან ძალწულში. ყურადღებით ადევნეთ თვალყური გამოყენებული პროდუქტების ხარისხს, დაიცავით დიეტა, გამორიცხეთ მძიმე საკვები, ერიდეთ გაციებასა და ინფექციებს. ჩაიტარეთ არომო და ფიტოთერაპია. დატკბით ხელოვნების ნიმუშებით, პეიზაჟებით, უსმინეთ კარგ მუსიკას (ინტერნეტში ყველაფერი ხელმისაწვდომია), მოირთეთ თავი და საკუთარი სახლი.

10 — მთვარის და სატურნის შეერთება მშვილდოსანში, მერკური გადადის თხის რძის ნიშანში. არ შეიძლება სიმძიმეების აწევა, ძლიერი ფიზიკური დატვირთვები. სასარგებლოა გამოცდილ და სასიამოვნო ადამიანებთან ურთიერთობა, ოცნებები ისტორიულ და რელიგიურ თემებზე. მისასალმებელია ტაძრებში მისვლა. დღეს და ხვალ რეკომენდებული არ არის დავიწყოთ ახალი საქმეები და ავაგოთ გეგმები. დავდოთ ხელშეკრულებები და ხელი მოვაწეროთ ფასიან ქაღალდებს — შესაძლებელია შეცდომები და ურთიერთგაუგებრობები. იყავით ფრთხილად ტრანსპორტში მგზავრობის დროს.

11 — ახალი მთვარე. ენერგეტიკა დასუსტებულია, იმუნიტეტი დაქვეითებული, გვეუფლება დაბნეულობა, ცუდი შემეცნება, ქვეითდება შრომისუნარიანობა, შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება, ყველა პრობლემა ერთმანეთშია არეულ-დარეული. საალბათოა ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, საერთო სისუსტე, ფსიქოზები, არტერიული წნევის ვარდნები, ტკივილები გულში, ძვლებსა და სახსრებში, კბილის ტკივილი. კანის ალერგია. არ არის გამორიცხული გაციებითი და ინფექციური დაავადებანი. დღეს სასურველი არაა გავიკეთოთ ოპერაცია და აცრები — შესაძლო სისხლის დენის გამო, რეკომენდებულია ვერიდოთ გაცივებას, ტრავმატიზმს, უბედურ შემთხვევებს უყურადღებობის ან გაუთვალისწინებლობის გამო. გაუფრთხილდით ხელებსა და ხერხემალს, ნუ აწევთ სიმძიმეებს. თავი შეიკავეთ მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისაგან. იყავით ფრთხილად ტრანსპორტში მგზავრობის დროს.

13 — მთვარის შეერთება პლუტონთან თხის რძაში. საალბათოა მარილების დაგროვებისაგან დაავადებათა გამწვავება, ართრიტები და ართროზები. ტკივილები ძვლებში, სახსრებსა და კუნთებში. არ არის გამორიცხული შარდსადენ-სასქესო სფეროების დაავადებანი, აგრეთვე გაცივების გამო რეპროდუქტიულ ორგანოთა დაავადებანი, სექსუალური მოშლილობა. რეკომენდებულია სხეული გვქონდეს სითბოში. ვერიდოთ ტრავმატიზმს, ფიზიკურ და ნერვულ გადატვირთვებს.

17 — მთვარის შეერთება ნეპტუნთან თევზებში. შეიძლება გაჩნდეს თავსმოხვეული იდეები, დაბნეულობა. შესაძლებელია ფსიქიკის დარღვევა, ღვიძლის, კუჭ-ქვეშა ჯირკვლისა და ფარისებრი ჯირკვლის, იმუნური სისტემის მუშაობის დარღვევები. საალბათოა მხედველობის გაუარესება, ცხოვრებისეული ძალების უკმარისობა, ტკივილები ფეხებსა და ტერფებში, შეშუპებები. აუცილებელია დავიცვათ დიეტა, უარი ვთქვათ სპირტიან სასმელებზე, ყავაზე, არ გადავტვირთოთ ღვიძლი, ფეხები და თვალები. ერიდეთ ტრავმატიზმს. მოწამვლას სამკურნალო და ქიმიური ნივთიერებებისაგან. სასარგებლოა წყლის პროცედურები, ტერფების მასაჟი, გასეირნება. თავი შეიკავეთ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისაგან.

18 — მთვარის პირველი მეოთხედი. შესაძლებელია ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, არტერიული წნევის ვარდნები. თავის ტკივილი, ძილის დარღვევა. გაზრდილია ავარიული სიტუაციების საფრთხე, ფსიქოლოგიური ნაკლოვანებების, ინფექციური დაავადებების გამწვავება, ღვიძლისა და საკვების გადამმუშავებელი სისტემის დარღვევები, შეშუპება. შეიძლება გაჩნდეს ტკივილები ფეხში, ვენებში, სახსრებსა და ტერფებში. სასარგებლოა საერთო გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, ტერფების მასაჟი, სამკურნალო აბაზანები, საკვები ნიღბები. აუცილებელია დავიცვათ დიეტა ღვიძლის დაცვისათვის, უარი ვთქვათ ალკოჰოლსა და მაღალკალორიან საკვებზე, ტკბილეულის დიდ ოდენობაზე — საკვები კარგად აითვისება, აქტიური დრო, ცხოვრების ენერგია იზრდება, ჩნდება ახალი იდეები და პრობლემები. გაზრდილმა ენერგეტიკამ შეიძლება, მიგვიყვანოს დავებთან და კონფლიქტებთან. არ არის საუკეთესო დრო ურთიერთობათა გარკვევისათვის. ხელსაყრელი დროა დასვენებისთვის. მსუბუქი გასეირნებისთვის, შემოქმედებისთვის (მათ შორის, როგორც საშუალება ემოციური ჩავარდნების და ფსიქიკური მოშლილობისათვის).

20 — მთვარის შეერთება ურანთან ვერძში. შესაძლებელია გაღიზიანებულობა, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, ძილის დარღვევა, ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებანი, სასურველია უარი ვთქვათ აღმგზნებ საშუალებებზე, ყავაზე, ალკოჰოლზე, მოწევაზე, დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი. ვერიდოთ სტრესებსა და კონფლიქტებს. სასარგებლოა ფიზიკური ვარჯიშები და გასეირნება. ერიდეთ დამწვრობას, ჭრილობებსა და დაცემებს, განსაკუთრებით მაღალ ადგილზე მუშაობის დროს.

25 — სავსე მთვარე. საალბათოა არტერიული წნევის ვარდნები, დაავადებანი მაღალი ტემპერატურით. ანთებითი პროცესები, სტენოკარდიის შეტევები, ყველა ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, საერთო ფსიქოზების რიცხვების ზრდა, მათ შორის სუიციდური და მანიაკალური ფსიქოზებისა. რეკომენდებულია ვერიდოთ ტრავმატიზმს, ვაკონტროლოთ ჩვენი ემოციები, არ ჩავერთოთ კონფლიქტებში, ფხიზლად განვსაზღვროთ საკუთარი ძალები, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე.

31 — მთვარის შეერთება იუპიტერთან ძალწულში. გვიჩნდება სურვილი ვაკრიტიკოთ ყველა, ვიყოთ უკმაყოფილო შექმნილი ვითარებით და ცხოვრების პირობებით. შესაძლებელია კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის, ღვიძლის მუშაობის დარღვევა, კვებითი მოწამვლა, სიმძიმე კუჭში, სასურველია დავიცვათ დიეტა, უარი ვთქვათ ცხიმიან და მძიმე საკვებზე, გამოვიყენოთ მხოლოდ ხარისხიანი პროდუქტები. სტრესები და გადაღლა უარყოფით გავლენას ახდენენ ჯანმრთელობაზე, სასარგებლოა გასეირნება და აქტიური დასვენება.

◎ აგროტურიზმი

ზაფხული სოფლად

ევროპის ტურისტულად განსაკუთრებულად მიმზიდველ ქვეყნებში ამჟამად სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება ეგრეთ წოდებული აგროტურიზმი, ანუ, როგორც მას კიდევ უწოდებენ, სოფლის ტურიზმი. ესპანელები კი ირწმუნებიან, რომ ტურიზმის ეს ფორმა სწორედ პირენეის ნახევარკუნძულზე წარმოიშვა... თანაც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სოფლად ტურისტულად უცხოელები კი არა, უმეტესწილად უქმეებზე თავად ესპანელები დადიან.

„ტურიზმო რურალი“ – ასე ეწოდება ესპანურად სოფლის ტურიზმს, რომელიც ამ ქვეყანაში ბოლო წლებში საოცრად პოპულარული გახდა. ამჟამად ყველა მეტ-ნაკლებად დიდ ბოდემას (ღვინის მეურნეობას) საკუთარი პატარა სასტუმრო ან პანსიონი აქვს და უქმე დღეებში ოჯახურ ღვინის ტურებს სთავაზობს მსურველებს: უფროსები ღვინოს აჭაშნიკებენ, ბავშვები კი ბუნებაში დანავარდობენ, სოფლის



მეურნეობისა და ვაზის მოვლის საიდუმლოებებს ეზიარებიან.

ამასთან, არანაკლებ პოპულარულია „ტურიზმო რურალი“ იმ მხარეებში, სადაც ცხოვრების ტრადიციული წესი დღესდღეობით შემორჩენილია, ხოლო მოსახლეობას საკუთარი მეურნეობა აცხოვრებს. ესპანეთი აგრარული ქვეყანაა, ყველა მხარეს საკუთარი „სპეციალიზაცია“ აქვს: არანჰუესსა და მურსიაში მარწყვი მოჰყავთ, ალგერიაში – ბოსტნეული, ალმუნიერარეში, კოსტა-ტროპიკალზე (მალაგას შემოგარენში) – ტროპიკული ხილი: ავოკადო, ლაიმი, ფინიკი, ბანანი, ჩირიმოია, პაპაია და სხვ. გრანადასა და ჰაენეში – ზეთისხილი და ნუში, ვალენსიაში – ფორთოხალი და „კლემენტინასის“ ჯიშის მანდარინი, ქვეყნის ჩრდილოეთში – ცნობილი ესპანური ატამი, ვაშლი, არტიშოკი და ფურცლოვანი სალათა, ცენტრალურ ესპანეთში – ხორბალი და სატაცური. ქვეყნის ჩრდილოეთი ასევე განთქმულია თავისი რძის ნაწარმითა და ყველით, სამხრეთი – ზეითუნის ზეთით...

სტუმრების მიღების უფლება ყველას როდი აქვს, მასპინძლობა მხოლოდ აგროტურიზმის ლიცენზიის მქონე ოჯახებს აქვთ. ესპანეთში ყველა სოფლის პანსიონი და სასტუმრო ცალკე ასოციაციაშია გაწევრებული, რომელიც ტურისტებს გარკვეული სტანდარტების შესაბამის მომსახურებას სთავაზობს, ფასები კი ყველასთვის ერთიანია.

ახლა, როცა ჩვენში ტურიზმზე ამდენს ლაპარაკობენ და მისგან სამომავლოდ დიდძალ შემოსავალს ელიან, იქნებ ღირდეს ტურისტული თვალსაზრისით ისეთი ჭეშმარიტად სანატრელი ქვეყნის გამოცდილების გაზიარება, როგორიცაა ესპანეთი და საქართველოს ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს ამ სეგმენტისთვის მიგვექცია ყურადღება? დარწმუნებული ვართ, იმის მიუხედავად, რომ ეს მყისიერ შედეგს არ გამოიღებს, მაგრამ საძირკველი დღეს თუ არ ჩაეყარა, მომავალში დიდად ვერაფრით ვიხეირებთ... განა გაგიგიათ ოდესმე ვინმეს გაზაფხულზე დარგული ვაზის შემოდგომაზევე თუნდაც ერთი მტევანი ენახოს?

ოთარ ტურაგელიძე

◎ ჩვენი კარაბადინი

საოფისე სავარძელი ღვიძლს კლავს

რაც უფრო დიდხანს გაგყავთ დრო ჯდომაში, მით მეტად ეწევით ღვიძლის ჯანმრთელობის რისკს, აჩვენა სამხრეთი კორეის მეცნიერთა ამასწინანდელმა გამოკვლევამ ქვეყნის 140 ათასი მცხოვრების მონაწილეობით. ღვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადება აღმოაჩნდა გამოკვლევის მონაწილეთა 35 პროცენტს. თანაც ეს ავადმყოფობა დაკავშირებულია ცხოვრების ჯდომის წესთან და ფიზიკური აქტივობის დაბალ დონესთან.

გამოკვლევის ავტორები დარწმუნებული არიან: აუცილებელია, შევამციროთ „ჯდომის“ დრო. „ჩვენი საოფისე სავარძლები გვიღებენ ბოლოს ნელა, მაგრამ „წარმატებით“. ადამიანის სხეული გათვლილია მუდმივ ფიზიკურ დატვირთვაზე და ხანგრძლივი უძრაობა დამღუპველ გავლენას ახდენს ფიზიოლოგიაზე“, – ასეთ კომენტარს უკეთებენ სამხრეთი კორეის მეცნიერთა დასკვნებს მათი კოლეგები დიდი ბრიტანეთიდან.

ყავა ღამისათვის

ორმაგ ესპრესოს დაძინებამდე 3 საათით ადრე „ბიოლოგიური“ საათი გადაჰყავს უკან, აყოვნებს მელატონინის გამომუშავებას, დაადგინეს მკვლევარებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან და დიდი ბრიტანეთიდან. ექსპერიმენტის დროს ხუთი მოხალისე ცხოვრობდა ლაბორატორიის ტერიტორიაზე 49 დღის განმავლობაში გარე სამყაროსთან სრულ იზოლაციაში. მათ თან არ ჰქონიათ საათები და არ შეეძლოთ, განესაზღვრათ დღე-ღამის დრო. შენობაში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, პერიოდულად ირთვებოდა ხან კაშკაშა, ხან შებინდებული სინათლე. ამ დროს მონაწილენი ღებულობდნენ ან კოფეინს (ორმაგი ესპრესოს ეკვივალენტური დონით), ან პლაცებოს დაძინებამდე 3 საათით ადრე, ძილის წინ კი მათგან იღებდნენ ნერწყვის სინჯს მელატონინის გამომუშავების შესამოწმებლად.

აღმოჩნდა, რომ კოფეინის მიღების შემდეგ მელატონინმა დაიწყო გამომუშავება 40 წუთით გვიან, ვიდრე პლაცებოს მიღების შემდეგ. „ღამისათვის ყავის დალევა – ეს ორგანიზმისთვის ისეთივე სტრესია, როგორც ის, რომ ჩაჯდე თვითმფრინავში და გაფრინდე 500 კილომეტრზე დასავლეთისკენ“, – მიაჩნიათ მეცნიერებს.

ჭამე და არ დაბერდე

ხმელთაშუაზღვის დიეტა, რომელიც მდიდარია ხილით, ბოსტნეულითა და თევზით, ანელებს ტვინის დაბერებას, ამბობენ ამერიკელი მეცნიერები კოლუმბიის უნივერსიტეტიდან. მათ გამოკითხეს თითქმის 700 ხანდაზმული ადამიანი მათი კვებითი ჩვეულებების შესახებ, რის შემდეგაც ექსპერიმენტის ყოველმა მონაწილემ გაირა მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის პროცედურა. აღმოჩნდა, რომ იმ ადამიანების ტვინის მოცულობა, ვინც ხმელთაშუაზღვის დიეტას იცავდა, იყო უფრო მეტი. თევზის რეგულარული მოხმარება ხელს უწყობდა საშუალო ნივთიერების გაზრდას. სწორი კვების მომხრეთა ტვინი 5 წლით უფრო „ახალგაზრდა“ იყო, ვიდრე მათი, ვინც არ იცავდა ასეთ დიეტას.

სხვათა შორის, ავტორებს ჯერჯერობით არ შეუძლიათ, საბოლოოდ ამტკიცონ, რომ ხმელთაშუაზღვის დიეტა თავიდან გვაცილებს თავის ტვინის ატროფიას. სავსებით საალბათოა ისიც, რომ ტვინის ეს განსაკუთრებული აგებულება აიძულებს ადამიანებს, აირჩიონ სწორი კვება.

ფაქტს კომენტარს უკეთებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვლადიმერ ზაძარიაძე:

– დიახ, ხმელთაშუაზღვის დიეტა, ალბათ, ამცირებს დემენციის განვითარების რისკს ბუნებრივი ანტიოქსიდანტების C და E ვიტამინების მაღალი შემცველობის ხარჯზე. ამის შესახებ მეტყველებს მრავალრიცხოვანი დაკვირვებები პაციენტების დიდ რიცხვზე, რომლებიც მოაწყვეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ამიტომ ამ დაკვირვებებს შეიძლება ვენდოთ.

ვარაუდობენ, რომ ხმელთაშუაზღვის დიეტის პროფილაქტიკური მოქმედება დაკავშირებულია თავის ტვინის სისხლძარღვებზე კეთილნაყოფიერ გავლენასთან. საინტერესოა, რომ იგივე ვიტამინების მიღება პრეპარატების სახით არ აღწევს ისეთ ეფექტს, როგორც მათი მოხმარება ნატურალური სახით კვების პროდუქტებთან ერთად.

ხმელთაშუაზღვის დიეტის გარდა დემენციის განვითარების რისკს ამცირებს აქტიური ფიზიკური დატვირთვები და მეხსიერებისა და ყურადღების სავარჯიშო წვრთნები.

რეკლამა
293–37–87
მაჩაბლის ქ. №7.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ორი ქალი ერთმანეთს ქუჩაში შეხვდა.

– რამდენი წლისა ხარ? – ეკითხება ერთი.

– შენ რამდენს მომცემდი? თუ გინდა, მიგახვედრებ.

– აბა, მითხარი.

– ჩემი გოგო საბავშვო ბაღში დადის.

– ის რა, იქ გამგედ მუშაობს?

* * *

– ღმერთო ჩემო! როგორ შეგცვლია გარეგნობა. რა დაგემართა?!

– მე ხომ ორი შვილი მყავს...

– მერე? შენ რა, ორივე შეჭამე?

* * *

მიხო რკინიგზის ლიანდაგის გაყვანაზე მუშაობს. ძალიან დაიღალა. გასაბოლებლად ჩამოჯდა. სიგარეტის კოლოფი ამოიღო და მასზე წარწერას კითხულობს:

– ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებს: მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის.

მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და გულიანად შეიგინა.

– ეს შობელძაღლები ბარ-ნიჩაბზე კი არ წააწერენ ამას.

* * *

ძმარი გაოგნებისგან გაშეშდა, როდესაც თავის ბინაში ცოლის საყვარელს უცხო ქალთან წაასწრო.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე